



NATIONAL CENTER FOR
EDUCATIONAL QUALITY
ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი
საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სახელწოდება სწავლის სფეროების
კლასიფიკატორის მიხედვით

1. "ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო
პროგრამა
2. "ჯანდაცვის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შპს უნივერსიტეტი გეომედი

თბილისი
2025

შინაარსი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ.....	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა.....	5
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან.....	18
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა.....	18
2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	39
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა.....	52
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	60
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.....	74

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	შპს უნივერსიტეტი გეომედი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204909858
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ / ორგანიზაცია/ქვეყანა)	ჟუჟანა სელეში - შოპრონის უნივერსიტეტი/უნგრეთი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ირაკლი გაგუა, გაგუას კლინიკა, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	გიგა ხოსიტაშვილი, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თამაზ უზუნაშვილი - შპს ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	სოსო გაზდელიანი - შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

	პროგრამა 1	პროგრამა 2
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	"ჯანდაცვის ეკონომიკა და მენეჯმენტი"	"ჯანდაცვის მენეჯმენტი"
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრი	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი მენეჯმენტში
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
ISCED–F-2013		
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ¹	VI	VII
სწავლების ენა	ქართული	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240	120
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არაკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული 10.12.2019 №235	აკრედიტებული 10.12.2019 №236

1 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ²**

ჯანდაცვის ეკონომიკის და მენეჯმენტის ფაკულტეტი ფუნქციონირებს 2007 წლიდან.

ბოლო აკრედიტაცია მიიღეს 10.12.2019 წელს, რომელიც მთავრდება 10.12.2024 წელს. უნივერსიტეტს სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი აქვს "ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის" საბაკალავრო და "ჯანდაცვის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერი.

საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები შეესაბამება დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებს (2024).

პროგრამების მიზნები და სწავლის შედეგები არის მკაფიოდ განსაზღვრული, ლოგიკურად სტრუქტურირებული და ურთიერთდაკავშირებული.

პროგრამების კლასტერი მოიცავს რამდენიმე საგანს, რომელთა მეშვეობითაც აღნიშნული პროგრამები ინდივიდუალურად და ერთობლივად უზრუნველყოფენ კურსდამთავრებულს ზოგადი სრულფასოვანი მენეჯერული ცოდნით და ჯანდაცვის სისტემაში მენეჯმენტის განხორციელებისთვის საჭირო თეორიული და პრაქტიკული კომპეტენციით. აღნიშნული მიზნის მისაღწევად ყველა სტუდენტი გადის პრაქტიკას სხვადასხვა ჯანდაცვის სისტემაში (საუნივერსიტეტო სტომატოლოგიური კლინიკა, საუნივერსიტეტო სარეაბილიტაციო კლინიკა და შპს "ვიანი" ივ. ბოკერიას საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი).

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ადგილზე ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 25 და 26 სექტემბერს ხუთი ექსპერტისგან შემდგარი აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ. ექსპერტთა ჯგუფმა შეფასება განახორციელა დადგენილი სტანდარტების შესაბამისად და შეხვდა უნივერსიტეტის აკადემიური და არაკადემიური სფეროების წარმომადგენლებს. მიზნობრივი კითხვების დახმარებით ექსპერტთა ჯგუფმა დასვა შეკითხვები და მიიღო პასუხები ცალკეული სტანდარტების უკეთ, უფრო გამჭვირვალედ გასაგებად და უნივერსიტეტის საგანმანათლებლო, კვლევითი და ადმინისტრაციული პროცესების მკაფიოდ აღსაქმელად. გასაუბრებებში მონაწილე აკადემიურმა, სამეცნიერო და ადმინისტრაციულმა პერსონალმა, ასევე სტუდენტებმა დამაკმაყოფილებელი პასუხები გასცეს ექსპერტების კითხვებს. ვიზიტის დროს მოთხოვნილი დამატებითი მასალა სრულად მიეწოდა ექსპერტთა ჯგუფს.

- **საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

კლასტერი ძირითადად აკმაყოფილებს მოთხოვნებს, რაც დადგინდა თვითშეფასების ანგარიშის შესწავლის და ადგილზე ვიზიტის დროს. კლასტერს აქვს მკაფიოდ განსაზღვრული მიზნები, რომლებიც ასახავს, თუ რა ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს აძლევს კლასტერში დაჯგუფებული პროგრამები კურსდამთავრებულს.

საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები შეესაბამება მათ შესაბამის კვალიფიკაციის დონეებს, როგორც ეს განსაზღვრულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში. საბაკალავრო პროგრამა შეესაბამება მე-6 დონეს, ხოლო სამაგისტრო პროგრამა მე-7 დონეს. თითოეული პროგრამა შეესაბამება უმაღლესი განათლების სტანდარტებში აღწერილ დარგობრივ მახასიათებლებს და კვალიფიკაციებს. აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები

² პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

და დამსაქმებლები აქტიურად მონაწილეობდნენ პროცესში, რაც ხელს უწყობს შრომის ბაზრის მოთხოვნების და საგანმანათლებლო საჭიროებების სრულყოფილ გაგებას.

უნივერსიტეტ გეომედს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების ყოვლისმომცველი და სისტემატური ჩარჩო. აღნიშნული ჩარჩო უზრუნველყოფს შეფასების მექანიზმების შესაბამისობას როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო სტანდარტებთან და ეფექტურად არის გათვალისწინებული პროგრამის სასიცოცხლო ციკლში.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (უსდ) მიერ წარმოდგენილი ორივე საგანმანათლებლო პროგრამა განსხვავდება შინაარსით, მოცულობით და სირთულის დონით, რომლებიც შეესაბამება მათ საგანმანათლებლო დონეს. გარდა ამისა, პროგრამები შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან სრული შესაბამისობით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის და დაგროვების სისტემის (ECTS) პრინციპების გათვალისწინებით.

მთლიანობაში, სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და თითოეული კურსის შინაარსი ძირითადად შეესაბამება მის დასახულ სასწავლო მიზნებს.

საგნის სილაბუსით გათვალისწინებული აქტივობების, შეფასების კომპონენტების, კრიტერიუმების და მეთოდების შესახებ ინფორმაცია წინასწარ ეცნობებათ სტუდენტებს. დადგინდა, რომ შეფასების გამჭვირვალობის თვალსაზრისით ყველაფერი წესრიგშია.

"ჯანდაცვის მენეჯმენტის" სამაგისტრო პროგრამას ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი, რომლის კომპეტენცია დასტურდება დარგის შესაბამისი განათლებით, სამეცნიერო ნაშრომებით და შეესაბამება კვალიფიკაციის მოთხოვნებს, ასევე პროგრამის სპეციფიკას და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია და საათობრივი დატვირთვა გადამწყვეტია დასახული სწავლის შედეგების მისაღწევად.

პროგრამის ხელმძღვანელებს და თანახელმძღვანელს (რომელიც ადრე იყო პროგრამის ხელმძღვანელი) გააჩნიათ პროგრამის ხელმძღვანელობისთვის საჭირო გამოცდილება და აქტიურად შეაქვეყნეს წვლილი პროგრამის შემუშავებაში, განვითარებაში და დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელებაში. მათ გააჩნიათ აკადემიური სფეროს შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდ არიან ჩართულნი პროგრამის განხორციელებაში და სტუდენტების კონსულტირებაში.

როგორც გასაუბრებების დროს დადასტურდა, პროგრამის პერსონალი საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში აქტიურად იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების შედეგებს. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ გადაწყვეტილებები სასწავლო გეგმის განვითარების, სწავლების მეთოდოლოგიების და რესურსების განაწილების შესახებ ეფუძნება მტკიცებულებებს და შეესაბამება უნივერსიტეტის მიზნებს.

საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, შეფასების პროცესში უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან. სტუდენტები რეგულარულად აწვდიან უკუკავშირის აკადემიური და მოწვეული პერსონალის მუშაობის, ასევე მათ მიერ მიღებული ადმინისტრაციული სერვისების ხარისხის შესახებ.

- **რეკომენდაციები**

პროგრამა 1 ("ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

- 1.5.1. ზოგიერთი კურსის ლიტერატურა მოძველებულია (მაგ. მიკროეკონომიკის პრინციპები, მაკროეკონომიკის პრინციპები, ფინანსური მენეჯმენტი). რეკომენდებულია, განახლდეს ლიტერატურა ახალი გამოცემებით.
- 1.5.2. საბაკალავრო პროგრამის "ფინანსური მენეჯმენტის" და სამაგისტრო პროგრამის "სამედიცინო ობიექტების ფინანსური მენეჯმენტის" კურსებში გამოყენებულია ერთი და იგივე ლიტერატურა (ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები, ჰორნი, ვაჩოვიჩი, 2008 წლის გამოცემა ქართული თარგმანი), რაც ბადებს კითხვებს საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო დონეებს შორის განსხვავებების შესახებ. რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამების დონეების შესაბამისი სხვადასხვა სახელმძღვანელოების გამოყენება (მაგისტრატურა და ბაკალავრიატი).

პროგრამა 2 ("ჯანდაცვის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

- 1.5.3. რეკომენდებულია, განახლდეს შემდეგი სასწავლო კურსების ლიტერატურა: სამედიცინო ობიექტების ფინანსური მენეჯმენტი, ადამიანური კაპიტალის მართვა, მარკეტინგის მენეჯმენტი, კორპორაციული მართვა, ბიზნეს კომუნიკაციები.
- 1.5.5. რეკომენდებულია, შეიცვალოს "სამედიცინო ობიექტების ფინანსური მენეჯმენტის" კურსის სახელწოდება "ფინანსური მენეჯმენტით" ვინაიდან არ მოიცავს ჯანდაცვასთან დაკავშირებულ ფინანსურ მენეჯმენტს.
- 3.2.1. რეკომენდებულია, მეტი ყურადღება დაეთმოს სამაგისტრო ნაშრომების მეთოდოლოგიურ ნაწილს, ლიტერატურის მიმოხილვას და წყაროების მრავალფეროვნებას.
- 5.3.1. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასების ფორმა.

კლასტრის საერთო რეკომენდაციები:

- 2.1.1. რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა მიიღოს პროაქტიული და ყოვლისმომცველი სტრატეგიული გეგმა, რომელიც პროგრამების მდგრადობის უზრუნველსაყოფის მიზნით მიმართული იქნება სტუდენტთა რაოდენობის გაზრდისკენ.
- 2.2.1. უნივერსიტეტმა მეტი შესაძლებლობა უნდა მისცეს სტუდენტებს, მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში, რათა განავითარონ მათი ტრანსფერული უნარები, განსაკუთრებით საერთაშორისო გამოცდილება, სადაც განვითარება აუცილებელია.
- 2.4.1. რეკომენდებულია, შეფასების ინდივიდუალური კომპონენტებისთვის მაქსიმალური ქულის ცალკეული კრიტერიუმების შემუშავება;
- 2.4.2. რეკომენდებულია, შუალედური და დასკვნითი გამოცდების დავალებები შემუშავდეს ისე, რომ მიმართული იყოს სტუდენტების ტრანსფერული და ანალიტიკური უნარების განვითარებაზე.
- 3.1.2. რეკომენდებულია, დაწესებულებამ გაააქტიუროს საერთაშორისო მობილობა სემესტრული გაცვლითი პროგრამების და მოკლევადიანი საერთაშორისო პროექტების მიმართულებით.
- 4.5.1. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს, რომ პროგრამა გახდეს თვითდაფინანსებადი და მდგრადი გრძელვადიან პერსპექტივაში.

5.1.1. რეკომენდებულია, თვითშეფასების პროცესში სხვადასხვა დაინტერესებული მხარის აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობა იმისათვის, რომ ეფექტურად მუშაობდეს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.

5.2.1. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უფრო აქტიურად გაითვალისწინოს და შეასრულოს აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციები და რჩევები.

5.3.1. რეკომენდებულია, გადაიხედოს სწავლის შედეგები ისე რომ მოიცვას აქტიური ზმნები, რომლებიც მკაფიოდ განსაზღვრავს სტუდენტების მიერ შესასრულებელ ქმედებებს.

- **რჩევები პროგრამების განვითარებისთვის**

პროგრამა 1 ("ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

1.4.1. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, დოკუმენტში სახელწოდებით "სასწავლო გეგმა და კურიკულუმი", Excel - ის ერთ - ერთი სამუშაო ფურცელი ასახავს კრედიტების სემესტრულ განაწილებას. თუმცა, 8 სემესტრის ნაცვლად წარმოდგენილია მხოლოდ 4 სემესტრი და აღნიშნული არის კრედიტების განაწილება თითოეული აკადემიური წლის და არა სემესტრების მიხედვით. შესაბამისად, სასურველია ვიზუალურად უფრო მკაფიოდ აღქმის მიზნით წარმოდგენილი იყოს კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით, აკადემიური წლების ნაცვლად.

1.4.2. სწავლის შედეგების რუკაში ნაჩვენებია ყველა კურსისთვის გაცნობის და გაღრმავების დონე (განმტკიცების გარეშე), გარდა პროგრამის ბოლო ორი შედეგისა, სადაც ყველა კურსისთვის მითითებულია ძირითადად განმტკიცების დონე. თუმცა, პროგრამის სათანადო სტრუქტურისთვის რუკაში მითითებული უნდა იყოს პროგრამის საწყისი კურსები გაცნობის დონეზე, შემდეგ პროგრამის ძირითად ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს შედეგები გაღრმავების დონეზე და ბოლოს ზოგიერთ "დასკვნით" კურსში მითითებული უნდა იყოს შედეგები განმტკიცების დონეზე.

პროგრამა 2 ("ჯანდაცვის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

1.4.3. სასურველია, დაკორექტირდეს სწავლის შედეგების რუკა ისე, რომ მითითებული იყოს რეალური სიტუაცია, თუ როგორ მიიღწევა კურსებში პროგრამის შედეგები დონის ეტაპობრივი ზრდით: დასაწყისში წარმოდგენილი უნდა იყოს გაცნობითი დონე, შემდეგ გაღრმავება და ბოლოს განმტკიცების დონე.

კლასტერის საერთო რჩევები:

3.1.1. სასურველია, დაიგეგმოს და განხორციელდეს უფრო მეტად სასარგებლო ტრენინგები / სამუშაო შეხვედრები / ღონისძიებები წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებულ შესაბამის საკითხებზე;

3.1.2. სასურველია, დაიგეგმოს და განხორციელდეს მეტი აქტივობა სტუდენტების კარიერული განვითარების მიმართულებით.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)³

- ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

პროგრამა 1 ("ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა)

1.5.1. ზოგიერთი კურსის ლიტერატურა მოძველებულია (მაგ. მიკროეკონომიკის პრინციპები, მაკროეკონომიკის პრინციპები, ფინანსური მენეჯმენტი). რეკომენდებულია, განახლდეს ლიტერატურა ახალი გამოცემებით.

რეკომენდაციის მიხედვით, ლიტერატურა განახლდა შემდეგ სასწავლო კურსებზე:

"მიკროეკონომიკის პრინციპები"; "მაკროეკონომიკის პრინციპები"; "ფინანსური მენეჯმენტი"; "ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები"; "ოპერაციების მართვა" და "ხარისხის მართვა"; "ჯანდაცვის სახელმწიფო პოლიტიკა და კანონმდებლობა" (იხ. სილაბუსები).

პასუხი: არ ვიზიარებთ უსდ-ს არგუმენტირებულ პოზიციას.

1.5.1 სილაბუსებს დაემატა ახალი ლიტერატურა, მაგრამ, სამწუხაროდ, კურსის ყოველკვირეულ აღწერაში ჯერ კიდევ ძველი, მოძველებული ლიტერატურაა მითითებული. ამიტომ, ეს რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

1.5.2. საბაკალავრო პროგრამის "ფინანსური მენეჯმენტის" და სამაგისტრო პროგრამის "სამედიცინო ობიექტების ფინანსური მენეჯმენტის" კურსებში გამოყენებულია ერთი და იგივე ლიტერატურა (ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები, ჰორნი, ვაჩოვიჩი, 2008 წლის გამოცემა ქართული თარგმანი), რაც ბადებს კითხვებს საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო დონეებს შორის განსხვავებების შესახებ. რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამების დონეების (მაგისტრატურა და ბაკალავრიატი) შესაბამისი სხვადასხვა სახელმძღვანელოების გამოყენება.

რეკომენდაციის მიხედვით, ჩვენ განვაახლეთ ლიტერატურა შემდეგ სასწავლო კურსებზე: საბაკალავრო პროგრამის „ფინანსური მართვა“ და სამაგისტრო პროგრამის „სამედიცინო (ჯანდაცვის) დაწესებულებების ფინანსური მართვა“ (იხ. სილაბუსები).

პასუხი: არ ვიზიარებთ უსდ-ს არგუმენტირებულ პოზიციას.

1.5.2 სილაბუსებს დაემატა ახალი ლიტერატურა, მაგრამ, სამწუხაროდ, კურსის ყოველკვირეულ აღწერაში ისევ იგივე თემებია, როგორც ძველ, მოძველებულ ლიტერატურაში. ამიტომ, ეს რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

პროგრამა 2 ("ჯანდაცვის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

1.5.3. რეკომენდებულია, განახლდეს შემდეგი სასწავლო კურსების ლიტერატურა: "სამედიცინო ობიექტების ფინანსური მენეჯმენტი", "ადამიანური კაპიტალის მართვა", "მარკეტინგის მენეჯმენტი", "კორპორაციული მართვა", "ბიზნეს კომუნიკაციები".

რეკომენდაციის მიხედვით, ლიტერატურა განახლდა შემდეგ სასწავლო კურსებზე: "ადამიანური კაპიტალის მართვა", "ჯანმრთელობის დაწესებულებების ფინანსური მართვა", "მარკეტინგის მენეჯმენტი", "ბიზნეს კომუნიკაციები", "კორპორატიული მენეჯმენტი" (იხ. სილაბუსები).

პასუხი: არ ვიზიარებთ უსდ-ს არგუმენტირებულ პოზიციას.

1.5.3 სილაბუსებს დაემატა ახალი ლიტერატურა, მაგრამ, სამწუხაროდ, კურსის ყოველკვირეულ აღწერაში ისევ იგივე თემებია, როგორც ძველ, მოძველებულ ლიტერატურაში. ამიტომ, ეს რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

1.5.4 სილაბუსებში არ უნდა იყოს მითითებული სხვა უცხოენოვანი ლიტერატურა გარდა ქართულენოვანი და ინგლისურენოვანისა. რეკომენდებულია, ადამიანური კაპიტალის მართვის სილაბუსში მითითებული დამატებითი ლიტერატურის სიიდან ამოღებულ იქნას

შემდეგი წიგნი: Капелюшников Р.И. Теория человеческого капитала (ადამიანური კაპიტალის თეორია). რუსული ენა არ არის გათვალისწინებული პროგრამის წინაპირობად, შესაბამისად ზოგიერთი სტუდენტი ვერ შეძლებს რუსულენოვანი წიგნების წაკითხვას.

რეკომენდაციის საფუძველზე განახლდა ლიტერატურა სასწავლო კურსში „ადამიანური კაპიტალის მართვა“ და წიგნი – კაპელიუშნიკოვი რ.ი. „ადამიანური კაპიტალის თეორია“ ამოღებულ იქნა სასწავლო კურსიდან (იხ. სილაბუსი).

პასუხი: ვიზიარებთ უსდ-ის არგუმენტირებულ პოზიციას

1.5.4 სილაბუსი განახლებულია და რუსული ლიტერატურა ამოღებულია. ამიტომ ეს რეკომენდაცია შეიძლება მოიხსნას.

1.5.5 რეკომენდებულია, შეიცვალოს "სამედიცინო ობიექტების ფინანსური მენეჯმენტის" კურსის სახელწოდება "ფინანსური მენეჯმენტით", ვინაიდან არ მოიცავს ჯანდაცვასთან დაკავშირებულ

ფინანსურ მენეჯმენტს.

სილაბუსი „სამედიცინო ობიექტების ფინანსური მენეჯმენტი“ გადაიხედა ახლად დამატებული ლიტერატურის საფუძველზე (George H. Pink | Paula H. Song – Gapenski's Understanding Healthcare Financial Management – 8th Ed. 2020), რომელიც მოიცავს ჯანდაცვასთან დაკავშირებული ფინანსური მენეჯმენტის თემებს.

პასუხი: არ ვიზიარებთ უსდ-ს არგუმენტირებულ პოზიციას.

1.5.5. სილაბუს დაემატა ფინანსური მენეჯმენტის ახალი ლიტერატურა ფინანსური ორგანიზაციებისთვის, თუმცა კურსის ყოველკვირეულ აღწერას ამ წიგნიდან არცერთი თემა არ დამატებია. ამიტომ, ეს რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

1.6 რეკომენდებულია, დაკორექტირდეს "ლიდერობის" სილაბუსის შედეგები. სახელმძღვანელოების და ლექციების ცხრილში გათვალისწინებული დეტალური თემების საფუძველზე შეიძლება დადგინდეს, რომ აღნიშნული კურსი მოიცავს მხოლოდ ლიდერობას და მასში

არ კეთდება აქცენტი ჯანდაცვაზე. შესაბამისად, რეკომენდებულია ტერმინი "ჯანდაცვა" ამოღებულ იქნას ყველა შედეგიდან.

რეკომენდაციის მიხედვით, სასწავლო კურსის „ლიდერობა“ სილაბუსში შესწორებულია სწავლის შედეგები და ყველა სწავლის შედეგიდან ამოღებულია ტერმინი „ჯანდაცვა“ (იხ. სილაბუსი).

პასუხი: ვიზიარებთ უსდ-ის არგუმენტირებულ პოზიციას

1.5.6 „ლიდერობის“ სილაბუსში სწავლის შედეგები ჩასწორდა და ტერმინი „ჯანდაცვა“ ამოღებულია ყველა სწავლის შედეგიდან. ამიტომ, ეს რეკომენდაცია შეიძლება მოიხსნას.

3.2.1 რეკომენდებულია, მეტი ყურადღება დაეთმოს სამაგისტრო ნაშრომების მეთოდოლოგიურ ნაწილს, ლიტერატურის მიმოხილვას და წყაროების მრავალფეროვნებას.

ვიზიარებთ რეკომენდაციას დამატებითი შეხვედრების ჩატარების თაობაზე სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებთან, რათა მეტი ყურადღება დაეთმოს სამაგისტრო ნაშრომის მეთოდოლოგიურ ნაწილს, ლიტერატურის მიმოხილვას და წყაროების დივერსიფიკაციას.

პასუხი: არ ვიზიარებთ უსდ-ს არგუმენტირებულ პოზიციას.

ეს რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

5.3.1. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასების ფორმა.

უნივერსიტეტმა შეიმუშავა სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასების ფორმა, რომელიც შეტანილია „აფილირებული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობისა და ხარისხის შეფასების სისტემაში“.

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასება წარმოადგენს აფილირებული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის პროდუქტიულობისა და ხარისხის შეფასების ერთ-ერთ კრიტერიუმს და ფასდება კონკრეტული ქულით. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასება მრავალმხრივი შეფასების მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელიც ტარდება ყოველი წლის ბოლოს. ეს დოკუმენტი განხილულ იქნა ექსპერტებთან ინტერვიუზე და მოთხოვნილი დამატებითი დოკუმენტაციის სახით გადაეგზავნა ნინო შიოშვილს, რომელიც მსახურობს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორად.

პასუხი: არ ვიზიარებთ უსდ-ს არგუმენტირებულ პოზიციას.

უნივერსიტეტების პოზიციის მიხედვით, მაგისტრატურის ხელმძღვანელების შეფასება აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის შეფასების მექანიზმშია შეტანილი. პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტი ნათლად

განსაზღვრავს, რომ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელები უნდა შეფასდნენ სტუდენტების მიერ, რათა მიიღონ უკუკავშირი თავად ხელმძღვანელობის პროცესზე. მიუხედავად იმისა, რომ გასაუბრების დროს განხილული იყო აკადემიური პერსონალის კვლევის პროდუქტიულობის შეფასების მექანიზმები, მასში ეს კონკრეტული ელემენტი არ ჩანდა. შესაბამისად, რეკომენდაცია რჩება უცვლელი

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

2.1.1 რეკომენდებულია უნივერსიტეტმა მიიღოს პრაქტიკული და ყოვლისმომცველი სტრატეგიული გეგმა, რომელიც პროგრამების მდგრადობის უზრუნველსაყოფად მიზნად დაისახავს სტუდენტების ჩარიცხვის გაზრდას.

უნივერსიტეტი სრულად აკმაყოფილებს მე-2 სტანდარტის 2.1 კომპონენტის მოთხოვნებს (პროგრამაზე მიღების წინაპირობები).

რეკომენდაციის საპასუხოდ, სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის მიზნით უნივერსიტეტმა მოახდინა სტრატეგიული გეგმის ადაპტირება.

- გაიზარდა ინვესტიციები უნივერსიტეტის აქტივებში;
- განახლდა ინფრასტრუქტურა;
- გაძლიერდა უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობა.
- ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტზე საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის საფასური შემცირდა. შედეგად, 2024 სასწავლო წლისათვის ფაკულტეტზე სტუდენტთა რაოდენობა გაიზარდა, რაც ექსპერტთა ჯგუფის ანგარიშის პროექტშიც დასტურდება.

პასუხი: არ ვიზიარებთ უსდ-ს არგუმენტირებულ პოზიციას.

უნივერსიტეტის არგუმენტირებული წერილის მიხედვით, კლასტერში მოცემული პროგრამები სრულად შეესაბამება პროგრამებზე სტუდენტების ჩარიცხვის წინაპირობების შედგენის სტანდარტის მოთხოვნებს. ეს მართალია და ასევე ჩაწერილია ექსპერტთა ანგარიშში. თუმცა, იგივე ქვესტანდარტი ამბობს, რომ "უსდ განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტური კონტინენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიას, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, დაწესებულების რესურსებს და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესების შეუფერხებელ ადმინისტრირებას". ბოლო წლებში ჩარიცხვის არსებული დაბალი რიცხვი (ბოლო სამი წლის განმავლობაში 10-ზე ნაკლები სტუდენტი საბაკალავრო პროგრამაზე და 3-ზე ნაკლები სამაგისტრო პროგრამაზე) წარმოადგენს მნიშვნელოვან გამოწვევას ამ აკადემიური პროგრამების მდგრადობისათვის. ამ მიზეზით, რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

2.2.1 რეკომენდებულია უნივერსიტეტმა მეტი შესაძლებლობა მისცეს სტუდენტებს, მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში, რათა განავითარონ მათი ტრანსფერული უნარები, განსაკუთრებით საერთაშორისო გამოცდილება, სადაც განვითარება აუცილებელია.

2024 წლის 13 დეკემბერს გაიმართა ტრადიციული, ადგილობრივი, ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საუნივერსიტეტო კონფერენცია. კონფერენცია იმართება ყოველ სემესტრში და აქვს გამოყოფილი საპრიზო ფონდი. მისი მიზანია სტუდენტებში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა, უნივერსიტეტთაშორისი თანამშრომლობისა და ურთიერთობის მოტივაციის ამაღლება.

საანგარიშო პერიოდში საერთაშორისო ურთიერთობებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა გამართა შეხვედრები საერთაშორისო გაცვლით პროგრამებთან დაკავშირებით.

კონკურსის შესახებ ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (<https://geomedi.edu.ge/?cat=18>).

გარდა ამისა, კონკურსის გამარჯვებული გიორგი ბექაური ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტიდან 2024-2025 სასწავლო წლის საგაზაფხულო სემესტრის განმავლობაში მიიღებს მონაწილეობას Erasmus+-ის დაფინანსებულ გაცვლით პროგრამაში, პოლონეთის Siedlce-ს უნივერსიტეტში.

პასუხი: არ ვიზიარებთ უსდ-ს არგუმენტირებულ პოზიციას.

ვიზიტის დროს გაირკვა, რომ სტუდენტები ამ ინფორმაციას არ ფლობენ. ამიტომ, ეს რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

2.3.1 რეკომენდებულია საერთაშორისო მონაცემთა ბაზების უფრო მეტად გამოყენება და სტუდენტთა ნაშრომებში საერთაშორისო ლიტერატურის უფრო ფართოდ ჩართვა.

საერთაშორისო მონაცემთა ბაზების გამოყენების გაზრდის მიზნით, სტუდენტები პერიოდულად გადიან ტრენინგებს და მონაწილეობენ ვებინარებში, რომლებსაც ატარებენ როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი ტრენერები. სტუდენტები იღებენ ინდივიდუალურ კონსულტაციებს როგორც პირადად ბიბლიოთეკაში, ისე ონლაინ. სტუდენტების ყოველ ახალ ნაკადთან ტარდება რეგულარული შეხვედრები, რათა გააცნონ მათ ბიბლიოთეკის სერვისები და მონაცემთა ელექტრონული ბაზის გამოყენება. ასევე, ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში მზადდება და იხეჟდება საინფორმაციო ბიულეტენები, რომლებიც შეიცავს ინსტრუქციას არსებული ელექტრონული ბაზების გამოყენების შესახებ. ისინი ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში.

2024 წელს ჩატარებული ტრენინგები და ვებინარები:

26.03.2024წ. ვებინარი: "როგორ მოვახდინოთ სათაურების ნავიგაცია Scopus-ში. Elsevier-ის ტრენერი - კირილ ივანოვი.

08.05.2024წ. ვებინარი: „EBSCOhost პლატფორმის ახალი მომხმარებლის ინტერფეისი. ყველაფერი რაც თქვენ უნდა იცოდეთ განახლებულ პლატფორმებზე სამეცნიერო სამედიცინო ელექტრონული რესურსების წვდომისა და გამოყენების შესახებ“. EBSCO-ს ტრენერი - ირინა სერჟანი.

28.05.2024წ. ვებინარი: "ადმოჩინე ScienceDirect თემები". Elsevier-ის ტრენერი - პაულა მილევსკა.

23.09.2024წ. ვებინარი: „ბიბლიოთეკის სერვისები და მათი გამოყენება. საერთაშორისო სამეცნიერო მონაცემთა ბაზების გამოყენების მეთოდები“ - ნანა ცერცვაძე.

08.10.2024წ. ვებინარი: „სწავლების თანამედროვე მეთოდები და ელექტრონული რესურსების გამოყენება აკადემიურ განათლებაში“. Elsevier-ის ტრენერი - პაულა მილევსკა.

პასუხი: ვიზიარებთ უსდ-ის არგუმენტირებულ პოზიციას

პასუხში მოცემული საერთაშორისო მონაცემთა ბაზებზე წვდომა და მათი გაცნობა რამდენიმე შემთხვევაში იყო შესაძლებელი. ამიტომ, ეს რეკომენდაცია შეიძლება მოიხსნას.

2.4.1. რეკომენდებულია, შეფასების ინდივიდუალური კომპონენტებისათვის მაქსიმალური ქულის ცალკეული კრიტერიუმების შემუშავება;

რეკომენდაცია გათვალისწინებულია. შეფასების კომპონენტების მაქსიმალური ქულების შეფასების ინდივიდუალური კრიტერიუმები განცალკევდა „სამაგისტრო ნაშრომის მომზადების, წარდგენისა და შეფასების ინსტრუქციაში“.

პასუხი: არ ვიზიარებთ უსდ-ს არგუმენტირებულ პოზიციას.

ეს რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

2.4.2. რეკომენდებულია, შუალედური და დასკვნითი გამოცდების დავალებები შემუშავდეს ისე, რომ მიმართული იყოს სტუდენტების ტრანსფერული და ანალიტიკური უნარების განვითარებაზე.

რეკომენდაცია გაზიარებულ იქნა და დაზუსტდა შუალედური და დასკვნითი საგამოცდო ამოცანების სტრუქტურა სპეციალობის რამდენიმე სავალდებულო კურსში.

შუალედური და დასკვნითი საგამოცდო დავალებები ფასდება როგორც დახურული ტესტების, ისე ღია კითხვების გამოყენებით.

პასუხი: არ ვიზიარებთ უსდ-ს არგუმენტირებულ პოზიციას.

ეს რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

3.1.1 რეკომენდებულია, გაიზარდოს სტუდენტების ინტერესი და ჩართულობა ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში.

მეორდება 2.2.1 რეკომენდაცია.

პასუხი: ვიზიარებთ უსდ-ის არგუმენტირებულ პოზიციას

ეს რეკომენდაცია შეიძლება მოიხსნას.

3.1.2 რეკომენდებულია, გააქტიურდეს საერთაშორისო მობილობა სემესტრული გაცვლითი პროგრამებისა და მოკლევადიანი საერთაშორისო პროექტების მიმართულებით.

საანგარიშო პერიოდში საერთაშორისო ურთიერთობებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა გამართა შეხვედრები საერთაშორისო გაცვლით პროგრამებთან დაკავშირებით.

კონკურსების შესახებ ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (<https://geomedi.edu.ge/?cat=18>).

გარდა ამისა, კონკურსის გამარჯვებული გიორგი ბექაური ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტიდან 2024-2025 სასწავლო წლის საგაზაფხულო სემესტრის განმავლობაში მიიღებს მონაწილეობას Erasmus+-ის დაფინანსებულ გაცვლით პროგრამაში, პოლონეთის Siedlce-ს უნივერსიტეტში.

პასუხი: არ ვიზიარებთ უსდ-ს არგუმენტირებულ პოზიციას.

ეს რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

4.5.1. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს პროგრამის თვითდაფინანსებადობა და მდგრადობა გრძელვადიან პერსპექტივაში.

უნივერსიტეტი ადაპტირებულია გრძელვადიანი მდგრადობის გაძლიერებაზე.

- გაიზარდა ინვესტიციები უნივერსიტეტის აქტივებში;
- განახლდა ინფრასტრუქტურა;
- გაძლიერდა უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობა.
- ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტზე საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის საფასური შემცირდა. შედეგად, 2024 სასწავლო წლისათვის ფაკულტეტზე სტუდენტთა რაოდენობა გაიზარდა, რაც ექსპერტთა ჯგუფის ანგარიშის პროექტშიც დასტურდება.

პასუხი: არ ვიზიარებთ უსდ-ს არგუმენტირებულ პოზიციას.

უნივერსიტეტმა ნამდვილად ჩადო ინვესტიცია თავის აქტივებში და გააუმჯობესა საერთო ინფრასტრუქტურა. მიუხედავად ამისა, ექსპერტთა ჯგუფი მსჯელობს პროგრამების მდგრადობის უზრუნველყოფისა და მათი თვითდაფინანსების მნიშვნელობაზე. სწავლის საფასურის შემცირება ამას ვერ უზრუნველყოფს და პრობლემები კვლავ რჩება. ეს რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

5.1.1. რეკომენდებულია, თვითშეფასების პროცესში სხვადასხვა დაინტერესებული მხარის აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობა იმისათვის, რომ ეფექტურად მუშაობდეს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.

თვითშეფასების პროცესში აქტიურად იყო ჩართული ყველა დაინტერესებული მხარე: ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის დეკანი და პროგრამის დირექტორი/თანადირექტორი, აკადემიური/მოწვეული პერსონალი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პრორექტორები, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი, ბიბლიოთეკის დირექტორი, მთავარი ბუღალტერი, დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები და სტუდენტები. ეს დასტურდება ანგარიშის პროექტშიც 68-ე გვერდზე.

„პროგრამის თვითშეფასების ჯგუფში შედიოდნენ როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული პერსონალი ფაკულტეტის დონეზე და წარმომადგენლები უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულებიდან, რომლებიც უზრუნველყოფენ საუნივერსიტეტო მომსახურებებს. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა შეხვედროდა თვითშეფასების პროცესში ჩართულ თანამშრომლებს, რამაც დაადასტურა, რომ ისინი აქტიურად მონაწილეობენ პროგრამის განხორციელებისა და განვითარების პროცესში და როლები ნაწილდება მათი კომპეტენციების მიხედვით“.

პასუხი: არ ვიზიარებთ უსდ-ს არგუმენტირებულ პოზიციას.

5.1.1 ქვესტანდარტის რეკომენდაციის საპასუხოდ უნივერსიტეტი მოჰყავს ექსპერტის ანგარიში, რომ თვითშეფასებაში ჩართული იყო ადმინისტრაციული პერსონალი. ექსპერტთა ჯგუფის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროცესში ადმინისტრაციული პერსონალის აქტიურობა უფრო შესამჩნევია, ვიდრე აკადემიური პერსონალისა. ინტერვიუების შემდეგ ექსპერტთა ჯგუფს შეექმნა შთაბეჭდილება, რომ კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და მოწვეული პერსონალი აქტიურად არ არიან ჩართულნი თვითშეფასების პროცესში. ამ დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრებამ დაადასტურა, რომ ისინი არც ისე კარგად იცნობენ პროგრამის სწავლის შედეგებსა და საერთო მიზნებს“. ამის თქმით, რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

5.2.1. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უფრო აქტიურად გაითვალისწინოს და შეასრულოს აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციები და რჩევები.

უნივერსიტეტი ყოველთვის იზიარებს და ახორციელებს აკრედიტაციის პროცესში მიღებულ რეკომენდაციებს.

საინტერესოა, რის საფუძველზე დაწერეს ექსპერტებმა ეს კონკრეტული რეკომენდაცია, როცა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 10 დეკემბრის N235 გადაწყვეტილების მე-2 პუნქტის 2.4 ქვეპუნქტის „აღწერილობა და დასაბუთება“ მიხედვით, საბჭო არ დაეთანხმა ექსპერტების ანგარიშში ასახულ შეფასებას.

პასუხი: ვიზიარებთ უსდ-ის არგუმენტირებულ პოზიციას

აღნიშნულ ჩანაწერზე პასუხად უსდ-მ განაცხადა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტებმა წინა აკრედიტაციის ფარგლებში გასცეს რეკომენდაცია, საბჭომ ეს რეკომენდაციები არ გაიზიარა. ეს რეკომენდაციები ორივე პროგრამის შემთხვევაში ეხებოდა პროგრამების ფინანსურ მდგრადობას სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში. როგორც ჩანს, ექვსი წლის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფი იგივე პრობლემას ხედავს, მაგრამ რადგან რეკომენდაციად ვერ შევძელით ჩამოყალიბება, გადავიტანეთ ამ ქვესტანდარტის რჩევებში. ეს შეცვლის ქვესტანდარტის შეფასებას "სრულად შეესაბამებაზე", მაგრამ არ ცვლის 5 სტანდარტის საერთო შეფასებას.

5.3.1 რეკომენდებულია, გადაიხედოს სწავლის შედეგები ისე რომ მოიცვას აქტიური ზმნები, რომლებიც მკაფიოდ განსაზღვრავს სტუდენტების მიერ შესასრულებელ ქმედებებს.

რეკომენდაციის საფუძველზე შეიცვალა სწავლის შედეგები „ლიდერობის“ სასწავლო კურსის სილაბუსში (იხ. სილაბუსი).

პასუხი: არ ვიზიარებთ უსდ-ს არგუმენტირებულ პოზიციას.

უნივერსიტეტმა გაიზიარა რეკომენდაცია და შეცვალა ზმნები ერთი კურსის შემთხვევაში, მაგრამ იგივე პრობლემის მქონე რამოდენიმე კურსია, შესაბამისად რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

აკრედიტაციის ექსპერტთათვის შეფასების მიდგომები:

აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომით:

1. კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება⁴

⁴ შეფასების მიდგომები: აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამის კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე,

2. კლასტერული შეფასება⁵

სტანდარტი / კომპონენტი	შეფასების მიდგომები:
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	
1.1. პროგრამის მიზნები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	კლასტერული
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	კლასტერული და ინდივიდუალური
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	კლასტერული და ინდივიდუალური
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	კლასტერული და ინდივიდუალური
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	კლასტერული
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	კლასტერული
2.4. სტუდენტის შეფასება	კლასტერული
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	
3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	კლასტერული
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	კლასტერული
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	
4.1. ადამიანური რესურსები	კლასტერული და ინდივიდუალური
4.2. მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	კლასტერული და ინდივიდუალური

შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

⁵ შეფასების მიდგომები: საჭიროების შემთხვევაში აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამისი კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	კლასტერული
4.4. მატერიალური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	კლასტერული და ინდივიდუალური
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.2. გარე ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	კლასტერული

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერი ძირითადად აკმაყოფილებს მოთხოვნებს, რაც დადგინდა თვითშეფასების ანგარიშის შესწავლის და ადგილზე ვიზიტის დროს. კლასტერს აქვს მკაფიოდ განსაზღვრული მიზნები, რომლებიც ასახავს, თუ რა ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს აძლევს კლასტერში დაჯგუფებული პროგრამები კურსდამთავრებულს. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილ ჩანაწერს, რომლის თანახმად "ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის" საბაკალავრო პროგრამის მიზანია მენეჯმენტის, სოციალური, ეკონომიკური, სამართლებრივი, ეთიკური და სხვა მომიჯნავე სწავლის სფეროებში ცოდნის და უნარების ფართო სპექტრის უზრუნველყოფა. "ჯანდაცვის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა კონცენტრირებულია უფრო მაღალი დონის

კვლევაზე და მენეჯმენტის და მასთან დაკავშირებული საგნების სიღრმისეულ და კომპლექსურ შესწავლაზე.

კლასტერის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და სტრატეგიულ გეგმას. კლასტერის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, განათლების დონის და საგანმანათლებლო კლასტერის თავისებურებებს, ასევე ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს. უნივერსიტეტმა განახორციელა შრომის ბაზრის კვლევა, თუმცა, როგორც ყველა სხვა სფეროში, მუდმივად იცვლება შრომის ბაზარი. უნდა განახლდეს საგნების თეორიული ნაწილი და დაკორექტირდეს პრაქტიკული მაგალითები ბაზრის მოლოდინების შესაბამისად.

სათანადო აქცენტი არ კეთდება საერთაშორისო ჩართულობაზე, რაც აისახება პროფესორების საერთაშორისო გამოქვეყნებების, სტუდენტების მიერ გამოყენებული უცხოენოვანი ლიტერატურული წყაროების მცირე რაოდენობაში და უნივერსიტეტის ფარგლებში საერთაშორისო ურთიერთობების ნაკლებობაში.

აღწერა და ანალიზი - "ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის" საბაკალავრო პროგრამა

საბაკალავრო პროგრამა ძირითადად აკმაყოფილებს მოთხოვნებს, რაც დადასტურდა თვითშეფასების ანგარიშის საფუძველზე და ადგილზე ჩატარებული ვიზიტით. პროგრამას გააჩნია მკაფიო მიზნები, რომლებიც ასახავს, თუ რა ცოდნას, უნარებს და კომპეტენციებს აძლევს პროგრამა კურსდამთავრებულს. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მიზნებს და სამომავლო გრძელვადიან გეგმას. "ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის" საბაკალავრო პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს. მათში გათვალისწინებულია ადგილობრივი შრომის ბაზრის ტენდენციები. პროგრამის მიზანში სტანდარტების შესაბამისად ასახული უნდა იყოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მთავარი საკითხები. აღნიშნული საერთაშორისო ძალისხმევა უნდა განვითარდეს, ვინაიდან ამჟამად ძალიან დაბალია ინტერნაციონალიზაციისთვის აუცილებელი საგანმანათლებლო და სამეცნიერო (კვლევითი) აქტივობები როგორც პროფესორების, ისე სტუდენტების მხრიდან. საბაკალავრო პროგრამის მიზნები შეესაბამება დარგობრივი მახასიათებლებით განსაზღვრული დარგის აღწერილობის ზოგად კონცეფციას. აღინიშნება ლოგიკური კავშირი აკრედიტაციის სტანდარტებს და კომპონენტებს შორის. შესაბამისად სახეზეა მათ შორის კავშირი. პროგრამის შინაარსი ასახავს პროგრამის მიზანს და სწავლის შედეგებით მიღწეული კვალიფიკაციის ხასიათს.

თვითშეფასების ანგარიშში მიზნებთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული საკითხები დადასტურდა ადგილზე ვიზიტის დროს, როგორცაა:

ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხის მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებსაც ბიზნესის მართვის თეორიულ ცოდნასთან ერთად ექნებათ უნარი გამოავლინონ და გაანალიზონ ორგანიზაციის საქმიანობაზე, მონაცემზე, პროცესებზე და რისკებზე ზემოქმედების შიდა და გარე ფაქტორები.

კურსდამთავრებულები შეძლებენ დააგროვონ გამოცდილება პროექტების, კვლევების, ოპერაციების და სტრატეგიების განვითარებაში და მართვაში.

კურსდამთავრებულმა უნდა შეძლოს საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანა ორგანიზაციის და ინდივიდის სოციალური პასუხისმგებლობის შეგრძნებით, კულტურული ღირებულებების და ეთიკური ნორმების გათვალისწინებით.

აღწერა და ანალიზი - "ჯანდაცვის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სამაგისტრო პროგრამა აკმაყოფილებს მოთხოვნებს, რაც დადასტურდა თვითშეფასების ანგარიშით. ადგილზე ვიზიტმა დაადასტურა, რომ თვითშეფასების ანგარიშში განსაზღვრული მიზნები შეესაბამება რეალობას და დაზუსტდა კონკრეტული საკითხები. პროგრამას გააჩნია მკაფიო მიზნები, რომლებიც ასახავს იმ ცოდნას, უნარებს და კომპეტენციებს, რომლებსაც სამაგისტრო პროგრამა აძლევს კურსდამთავრებულს. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მიზნებს და სტრატეგიულ გეგმას. "ჯანდაცვის მენეჯმენტის" სამაგისტრო პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს. მათში გათვალისწინებულია ადგილობრივი შრომის ბაზრის ტენდენციები.

პროგრამის მიზანში სტანდარტების შესაბამისად ასახული უნდა იყოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მთავარი საკითხები. აღნიშნული საერთაშორისო ძალისხმევა უნდა განვითარდეს, ვინაიდან ამჟამად ძალიან დაბალია აუცილებელი საგანმანათლებლო და სამეცნიერო (კვლევითი) აქტივობები როგორც პროფესორებს, ისე სტუდენტებს შორის ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით. სადიპლომო ნაშრომებში დაბალია საერთაშორისო ლიტერატურის წილი და სტუდენტები არ მონაწილეობენ საერთაშორისო კონკურსებში ან პროგრამებში.

სამაგისტრო პროგრამის მიზნები შეესაბამება დარგობრივი მახასიათებლებით განსაზღვრული სფეროს აღწერის ზოგად კონცეფციას.

პროგრამის შინაარსი ასახავს პროგრამის მიზანს და სწავლის შედეგებით მიღწეული კვალიფიკაციის ხასიათს.

თვითშეფასების ანგარიშში მიზნებთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული საკითხები დადასტურდა ადგილზე ვიზიტის დროს, როგორიცაა:

მომზადდეს ჯანდაცვის სფეროს მენეჯმენტის მაგისტრები, რომლებიც ღრმად და სისტემურად გააცნობიერებენ სფეროში სწორი მენეჯმენტის განხორციელების მეთოდს და მნიშვნელობას და შეძლებენ დადგენილი კომპეტენციების ფარგლებში ეროვნული შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებას. პროფესიული პრაქტიკა და სწავლების პერიოდში მიღებული პროფესიულ - პრაქტიკული ცოდნა მნიშვნელოვნად ეხმარება სტუდენტებს აღნიშნული მიზნის მიღწევაში.

განავითაროს ორგანიზაციის წინაშე მდგარი გამოწვევების გამოვლენის უნარი და მათზე რეაგირების მიზნით კვლევების, პროექტების, ოპერაციების და სტრატეგიების განვითარების მართვა.

უზრუნველყოს თანამედროვე, სისტემური ცოდნა ორგანიზაციის ქმედებების სამართავად სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობების შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრებები მმართველ პერსონალთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან;
- ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული შეხვედრები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ ეხება

კლასტერის საერთო რჩევები: არ ეხება

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: არ ეხება

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: არ ეხება

შეფასება⁶

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი 1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 ("ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)	X	☐	☐	☐
პროგრამა 2 ("ჯანდაცვის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	X	☐	☐	☐
პროგრამა 3 (დასახელება, დონე)	☐	☐	☐	☐
პროგრამა 4 (დასახელება, დონე)	☐	☐	☐	☐
პროგრამა 5 (დასახელება, დონე)	☐	☐	☐	☐
პროგრამა 6 (დასახელება, დონე)	☐	☐	☐	☐
პროგრამა 7 (დასახელება, დონე)	☐	☐	☐	☐
პროგრამა 8 (დასახელება, დონე)	☐	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით

შეფასება ხდება თითოეულ პროგრამასთან მიმართებით ცალ-ცალკე.

აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები ზედმიწევნით შეესაბამება პროგრამის მიზნებს და თითოეული სწავლის სფეროს დარგობრივ მახასიათებლებს. თითოეული პროგრამა შემუშავებულია იმგვარად, რომ უზრუნველყოს სტუდენტების მიერ პროგრამის დასრულებისას ცოდნის, უნარების, პასუხისმგებლობის და ავტონომიურობის სრულყოფილი ნაკრების მიღება. შედეგები სტრუქტურირებულია ისე, რომ იყოს გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური. წარმოდგენილია თითოეული პროგრამის მიზნების და მოსალოდნელი შედეგების მკაფიო რუკები. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ სწავლის შედეგები პირდაპირ ასახავს პროგრამების მიზნებს, აკმაყოფილებს სტუდენტების საჭიროებებს და საგანმანათლებლო და პროფესიული სექტორების მოთხოვნებს. აღნიშნული მიზნების და შედეგების დეტალური რუკის გათვალისწინება აძლიერებს მათ შესაბამის მიზნებთან პროგრამების თანმიმდევრულობას და შესაბამისობას.

საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები შეესაბამება მათ შესაბამის კვალიფიკაციის დონეებს, როგორც ეს განსაზღვრულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში. საბაკალავრო პროგრამა შეესაბამება მე-6 დონეს, ხოლო სამაგისტრო პროგრამა მე-7 დონეს. თითოეული პროგრამა შეესაბამება უმაღლესი განათლების სტანდარტებში აღწერილ დარგობრივ მახასიათებლებს და კვალიფიკაციებს. აღნიშნული შესაბამისობა იმის გარანტიაა, რომ პროგრამები თანხვედრაშია არა მხოლოდ აკადემიური მიღწევების მოსალოდნელ დონეებთან, არამედ უფრო ფართო საგანმანათლებლო ჩარჩოსთან. გარდა ამისა, სწავლის შედეგები შემუშავებულია ისე, რომ შეესაბამებოდეს დარგობრივ მახასიათებლებს, რაც უზრუნველყოფს, რომ ისინი აკმაყოფილებენ უმაღლესი განათლების და პროფესიული მომზადების როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო სტანდარტებს. აღნიშნული სწავლის შედეგების შემუშავებისას, ქვაკუთხედს წარმოადგენდა დაინტერესებული მხარეების მნიშვნელოვანი ჩართულობა. აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები აქტიურად მონაწილეობდნენ პროცესში, რაც ხელს უწყობს შრომის ბაზრის მოთხოვნების და საგანმანათლებლო საჭიროებების სრულყოფილ გაგებას. აღნიშნული თანამშრომლობითი მიდგომის ფარგლებში შემუშავდა სწავლის შედეგები, რომლებიც რელევანტურია როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო შრომის ბაზრებისთვის, რაც ხელს უწყობს კურსდამთავრებულების შემდგომ განათლებას და პროფესიულ წინსვლას. კლასტერში დაჯგუფებულ პროგრამებს შორის სირთულის, კომპლექსურობის და შინაარსის თანმიმდევრულობა უზრუნველყოფს, რომ ისინი იძლევიან თანმიმდევრულ და ძლიერ საგანმანათლებლო გამოცდილებას, რაც დარგის მოთხოვნებს და მოლოდინებს ასახავს. აღნიშნული სისტემატიური და ინკლუზიური პროცესი ხაზს უსვამს დაწესებულების ვალდებულებას, უზრუნველყოს მაღალი ხარისხის, რელევანტური განათლება, რომელიც აკმაყოფილებს როგორც სტუდენტების, ისე დამსაქმებლების განვითარებად საჭიროებებს. თუმცა, ინდუსტრიების განვითარებასთან ერთად იცვლება მოთხოვნილი საჭირო უნარებიც. მაგალითად, ციფრული ტექნოლოგიების აღმავლობა მოითხოვს, რომ კურსდამთავრებულები ფლობდნენ ციფრულ ინსტრუმენტებს და მონაცემთა ანალიტიკას. სწავლის შედეგების განახლება აღნიშნული უნარების გათვალისწინებით უზრუნველყოფს, რომ კურსდამთავრებულები ინარჩუნებენ კონკურენტუნარიანობას და რელევანტურობას შრომის ბაზარზე და პასუხობენ ინდუსტრიის როგორც მიმდინარე, ისე სამომავლო მოთხოვნებს. შესაბამისად, პროგრამის შედეგებში ინდუსტრიაში გაჩენილი ახალი ტენდენციების შესაბამისი სპეციალიზებული უნარების და კომპეტენციების გათვალისწინება,

როგორცაა ციფრული ტრანსფორმაცია ან მდგრადი პრაქტიკები, მიჩნეულია დროის მოთხოვნად. ასევე, მნიშვნელოვანია სწავლის შედეგებში მოქნილ უნარებზე ყურადღების გამახვილება, როგორცაა კომუნიკაცია, გუნდური მუშაობა და ლიდერობა. კვლევები აჩვენებს, რომ დამსაქმებლები სულ უფრო მეტად აფასებენ მოქნილ უნარებს და ისინი გადამწყვეტია კარიერული წარმატებისთვის. სწავლის შედეგებში აღნიშნული უნარების გათვალისწინება სტუდენტებს ამზადებს არა მხოლოდ ტექნიკური დავალებებისთვის, არამედ მათ კარიერაში ეფექტური თანამშრომლობისთვის და ლიდერის პოზიციებისთვის.

აღწერა და ანალიზი

აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან, თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტებისა და ადგილზე ვიზიტის მეშვეობით შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე.

პროგრამა 1 - "ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - მე - 6 დონე

"ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის" საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები კარგად შეესაბამება პროგრამის მიზნებს და სფეროს სპეციფიკურ მოთხოვნებს. შედეგები ყოვლისმომცველად ფარავს ბიზნესის ცოდნის და უნარების მნიშვნელოვან ასპექტებს, რაც უზრუნველყოფს, კურსდამთავრებულების ფუნდამენტური თეორიების, კონცეფციების და გლობალური ბიზნეს გარემოს სიღრმისეულ გაგებას. მაგალითად, მოსალოდნელია, რომ სტუდენტები გაიაზრებენ ბიზნესის ძირითად თეორიებს, ჯანდაცვის მენეჯმენტს, თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გავლენას და იმ მრავალფეროვან ეკონომიკურ, სამართლებრივ და ეთიკურ კონტექსტს, რომელშიც მოქმედებენ ჯანდაცვის ორგანიზაციები. აღნიშნული შესაბამისობა უზრუნველყოფს, სტუდენტების მიერ თანამედროვე ჯანდაცვის მენეჯმენტის სირთულეების გადასაჭრელად საჭირო ცოდნის და უნარების მიღებას. გარდა ამისა, პროგრამის შედეგებში ასახულია ორიენტაცია პასუხისმგებლობის და ავტონომიურობის განვითარებაზე. სტუდენტებს მოეთხოვებათ არა მხოლოდ ბიზნესის და ჯანდაცვის მენეჯმენტის პროცესების და სტრატეგიების ანალიზი და შეფასება, არამედ კვლევითი პროექტების დაგეგმვა და განვითარება, რაც აჩვენებს მათ უნარს, რეალურ სიტუაციებში გამოიყენონ შესწავლილი კონცეფციები. აღნიშნული მოიცავს ჯანდაცვის ორგანიზაციების მართვასთან და სადაზღვევო პოლისებთან დაკავშირებული რისკების შეფასებას, რეკომენდაციების შემუშავებას და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეთიკურად გამოყენებას, რაც ხელს უწყობს პროფესიული პასუხისმგებლობის და ავტონომიურობის ძლიერი გრძნობის განვითარებას. პროგრამის შედეგები ასევე ხაზს უსვამს გუნდური მუშაობის, კრიტიკული აზროვნების და თვითშეფასების მნიშვნელობას, რაც კიდევ უფრო მეტად უწყობს ხელს აღნიშნული კომპეტენციების განვითარებას. პროგრამის სწავლის შედეგები არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური. კვალიფიკაციის და რელევანტურობის თვალსაზრისით, პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება ბაკალავრის ხარისხის (მე-6 დონე) კვალიფიკაციას, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს და ბიზნესის ადმინისტრირების უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს. ისინი შემუშავებულია შრომის ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და სტუდენტებისთვის მყარი საფუძველის უზრუნველსაყოფად იმისათვის, რომ მათ შეძლონ სწავლის გაგრძელება სამაგისტრო პროგრამაზე. პროგრამის მიზნებთან და დარგობრივ მახასიათებლებთან აღნიშნული შესაბამისობა ხაზს უსვამს სწავლის შედეგების ეფექტურობას კურსდამთავრებულების როგორც პროფესიული, ისე აკადემიური წინსვლისთვის. პროგრამის

შედეგები შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების მოთხოვნებს დაშესაძლებლობას აძლევს კურსდამთავრებულებს გააგრძელონ სწავლა განათლების შემდგომ საფეხურზე. პროგრამის სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან განხორციელებულმა გასაუბრებებმა გამოავლინა პროგრამის შედეგების მჭიდრო შესაბამისობა სწავლის სფეროს თავისებურებებთან და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. დამატებით, გასაუბრებების დროს გამოვლინდა სტუდენტების, აკადემიური პერსონალის, მოწვეული პედაგოგების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების მაღალი ჩართულობა პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში.

პროგრამა 2 - "ჯანდაცვის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - მე - 7 დონე

"ჯანდაცვის მენეჯმენტის" სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები ეფექტურად შეესაბამება პროგრამის მიზნებს და სამაგისტრო დონეზე მოსალოდნელ კვალიფიკაციის მაღალ დონეს. შედეგები ხაზს უსვამს პრობლემების გადაჭრის სისტემატურ მიდგომას, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტებს სხვადასხვა პერსპექტივიდან განიხილონ კომპლექსური საკითხები, შეაფასონ და შეარჩიონ ყველაზე ეფექტური გადაწყვეტილებები. აღნიშნული ჰოლისტური ხედვა მნიშვნელოვანია მაღალი დონის სტრატეგიული აზროვნების და გადაწყვეტილების მიღების უნარების განვითარებისთვის, რაც მოითხოვს ბიზნესის მართვის მაღალ პოზიციებზე. პროგრამის სწავლის შედეგები ასევე ორიენტირებულია ისეთ მაღალი დონის კომპეტენციებზე, როგორიცაა შესრულების ინდიკატორების შემუშავება და ინტერპრეტაცია, შედეგების დოკუმენტირება და დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაცია. აღნიშნული უნარები აუცილებელია ჯანდაცვის მენეჯმენტის და ბიზნესის კონტექსტში ეფექტური მართვის და შესრულების შეფასებისთვის. გარდა ამისა, შედეგები ასახავს გლობალური ბაზრის ტენდენციების, მარეგულირებელი გარემოს და ტექნოლოგიური ინოვაციების გაგებას, რაც სტუდენტებს აღჭურავს ჯანდაცვის მენეჯმენტში ახალი შესაძლებლობების გამოვლენის და გამოყენების უნარით. სტრატეგიული და ანალიტიკური უნარების გარდა, პროგრამა ხაზს უსვამს სტრატეგიების განვითარებას, განხორციელების პოლიტიკას და ჯანდაცვის მენეჯმენტში უწყვეტი გაუმჯობესების პრაქტიკებს. სტუდენტები შეისწავლიან მკაცრი რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის ჩატარებას, აკადემიური სტანდარტების დაცვას და პროფესიული საზოგადოებისთვის თავიანთი მიგნებების წარდგენას. პროგრამის შედეგები კარგად გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტურია. შედეგები შეესაბამება მაგისტრის ხარისხის (მე-7 დონე) კვალიფიკაციას, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს და ბიზნესის ადმინისტრირების უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებლებს. ისინი ასევე პასუხობენ შრომის ბაზრის საჭიროებებს და ქმნიან საფუძველს შემდგომი აკადემიური მისწრაფებებისთვის, როგორიცაა სადოქტორო სწავლება, რაც დემონსტრირებს ჯანდაცვის მენეჯმენტის მიმართულებით უმაღლესი განათლების კარგად ჩამოყალიბებულ მიდგომას. დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრებებმა გამოავლინა პროგრამის შედეგების ჩამოყალიბებაში სხვადასხვა ჯგუფების ჩართულობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამების აღწერილობა;
- პროგრამების დანართები;
- გასაუბრებები დაინტერესებულ მხარეებთან.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (დასახელება, საფეხური)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 ("ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო	x	□	□	□

პროგრამა - მე - 6 დონე)				
პროგრამა 2 ("ჯანდაცვის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - მე - 7 დონე)	x	□	□	□

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

უნივერსიტეტ გეომედს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების ყოვლისმომცველი და სისტემატური ჩარჩო, რომელიც დეტალურად არის აღწერილი დოკუმენტში "სწავლების ხარისხის შეფასების შიდა და გარე მექანიზმები". აღნიშნული ჩარჩო უზრუნველყოფს შეფასების მექანიზმების შესაბამისობას როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო სტანდარტებთან და ეფექტურად არის გათვალისწინებული პროგრამის სასიცოცხლო ციკლში.

უნივერსიტეტის შეფასების პროცესი იწყება სწავლის შედეგების ჩამოყალიბებით, რომლებიც დეტალურად არის დაგეგმილი საუკეთესო პრაქტიკის, ბაზრის მოთხოვნების და სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიდგომების გათვალისწინებით. აღნიშნული პროცესი მჭიდროდ არის დაკავშირებული უნივერსიტეტის მისიასთან და სტრატეგიული განვითარების მიზნებთან, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგებს და დაწესებულების ფართო მიზნებს შორის პირდაპირ კავშირს. შედეგები განისაზღვრება სამი ძირითადი კომპეტენციის მიხედვით: ცოდნა და გაცნობიერება, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა. აღნიშნული შესაბამისობა უზრუნველყოფს, რომ სწავლის შედეგები ასახავს პროგრამის დონის სირთულეს და შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს აღმწერებს.

განხორციელების პროცესში უნივერსიტეტი სტუდენტების შედეგების, აკადემიური პერსონალის წარმატების და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ანალიზის გზით აკვირდება პროგრამის

პროგრესს. მუდმივად ფასდება სასწავლო გეგმა იმის უზრუნველსაყოფად, რომ სტუდენტებს მიეწოდებათ სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელი შესაძლებლობები. გამოიყენება სასწავლო გეგმის რუკა, რომელიც აჩვენებს სწავლის შედეგებს და სავალდებულო კურსებს შორის შესაბამისობას. აღნიშნული უზრუნველყოფს, რომ პროგრამის შინაარსი ხელს უწყობს სასურველი შედეგების მიღწევას და ერგება დარგში წარმოქმნილ ნებისმიერ ცვლილებას.

სწავლის შედეგების შეფასება მოიცავს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი შეფასების მეთოდებს. პირდაპირი მეთოდები მოიცავს გამოცდების შედეგებს, რომლებიც დაყოფილია შუალედური გამოცდების და საბოლოო შეფასებების კომპონენტებად შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით. პორტფოლიოები, პრაქტიკის შეფასებები და ნაშრომების დაცვა ასევე წარმოადგენს სტუდენტის მიღწევების პირდაპირ მტკიცებულებას. მაგალითად, ხორციელდება გამოცდების შედეგების ანალიზი იმის გასაზომად, თუ რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა კონკრეტულ სწავლის შედეგებს, საერთო შედეგში თითოეული კომპონენტის წვლილის გათვალისწინებით. გარდა ამისა, პორტფოლიოები და პრაქტიკული დავალებები წარმოადგენს უნარების და ცოდნის შეძენის პირდაპირ მტკიცებულებას. არაპირდაპირი მეთოდები, როგორიცაა დასაქმების მაჩვენებლები, დამსაქმებელთა გამოკითხვები და სტუდენტთა თვითშეფასებები, იძლევა დამატებით ინფორმაციას. კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ჩატარებულმა გასაუბრებებმა გამოავლინა პრაქტიკულ უნარებში და ცოდნაში არსებული ხარვეზები, რამაც გამოიწვია პროგრამის შემდგომი კვლევა და კორექტირება. შესაბამისად, საჭიროა გაიზარდოს კურსდამთავრებულებისგან უკუკავშირის სიხშირე და სიღრმე მათი სწავლის დასრულების შემდგომი გამოცდილების შესახებ ინფორმაციის მისაღებად და იმის დასადგენად თუ რამდენად კარგად უზრუნველყო პროგრამამ მათი მომზადება კარიერისთვის. კურსდამთავრებულების უკუკავშირი ღირებულია პროგრამის გრძელვადიანი გავლენის შესაფასებლად. კურსდამთავრებულების გაძლიერებული უკუკავშირი ქმნის უფრო ღრმა წარმოდგენას პროგრამის სწავლის შედეგების ეფექტურობის შესახებ და შეიძლება განაპირობოს უფრო მიზანმიმართული გაუმჯობესებები. შეფასების მექანიზმში უნდა გაძლიერდეს დამსაქმებლების გამოკითხვების გათვალისწინება, იმისათვის, რომ მიღებულ იქნას უფრო დეტალური უკუკავშირი კურსდამთავრებულების მიერ შესრულებული სამუშაოს და უნარებში გამოვლენილი ხარვეზების შესახებ. დამსაქმებლების გამოკითხვებით შესაძლებელია გამოვლინდეს კონკრეტული სფეროები, სადაც კურსდამთავრებულები გამოირჩევიან ან საჭიროებენ უნარების გაუმჯობესებას. დამსაქმებლების დეტალური უკუკავშირი ხელს უწყობს იმის უზრუნველყოფას, რომ პროგრამა ინარჩუნებს შესაბამისობას ინდუსტრიის მოლოდინებთან და ეფექტურად ამზადებს კურსდამთავრებულებს მათი პოზიციებისთვის. ასევე კარგი იქნება დაინერგოს კოლეგიალური შეფასების სისტემა სწავლის შედეგების შეფასების და შეფასების საერთო პროცესის ეფექტურობის დასადგენად და შესაფასებლად. კოლეგიალურ განხილვას შეუძლია უზრუნველყოს ობიექტური ხედვები და გააუმჯობესოს შეფასების პრაქტიკის სანდოობა. კოლეგიალური განხილვები წარმოადგენს დამატებით ინსტრუმენტს, რაც ხელს უწყობს შეფასების მექანიზმის სიზუსტეს და ეფექტურობას, რომელიც მიმართულია უწყვეტ გაუმჯობესებაზე.

გამოვლენილი საკითხების გადასაჭრელად უნივერსიტეტი ახორციელებს ადაპტირების ზომებს, მათ შორის კურსის შინაარსის გადახედვას, სწავლების მეთოდების კორექტირებას ან საგანმანათლებლო რესურსების განახლებას. აღნიშნული მიდგომა ნაკარნახევაა შეფასების ანალიზის შედეგებით, რომლებიც გადაიხედება იმის უზრუნველსაყოფად, რომ დაკმაყოფილდეს თითოეული სწავლის შედეგისთვის დადგენილ სამიზნე ნიშნული. აღნიშნულ შეფასებებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, მათ შორის ცვლილებების ანგარიშები და შეხვედრების ოქმები, დეტალურად ინახება გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით.

დაინტერესებული მხარეების ჩართულობა წარმოადგენს შეფასების პროცესის მნიშვნელოვან ასპექტს. გარე დაინტერესებული მხარეები, მათ შორის დამსაქმებლები და კურსდამთავრებულები, აქტიურად მონაწილეობენ სწავლის შედეგების შეფასების პროცესში უკუკავშირის და გამოკითხვების მეშვეობით. აკადემიური და მოწვეული პერსონალი იღებს მუდმივ მხარდაჭერას და უტარდება ტრენინგები სწავლის შედეგების შეფასების უნარების გაუმჯობესების მიზნით, რაც ხელს უწყობს პროგრამის ეფექტურობას. უნივერსიტეტი დაინტერესებულ მხარეებს აწვდის დეტალურ ინფორმაციას შეფასების შედეგების შესახებ, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობას და ინკლუზიურობას.

უნივერსიტეტი გეომედის შეფასების მექანიზმი კარგად შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების კრიტერიუმებს. ჩარჩო უზრუნველყოფს, რომ სწავლის შედეგები ეფექტურად არის განსაზღვრული, გაანალიზებული და გაზომილი როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი მეთოდებით. გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, სამიზნე ნიშნულების გამოყენება და უწყვეტი გაუმჯობესების ვალდებულება ხაზს უსვამს მაღალი სტანდარტების შენარჩუნების და შრომის ბაზრის საჭიროებების დაკმაყოფილების მიმართ უნივერსიტეტის ერთგულებას. პროგრამის ადაპტირებულობა და შეფასების შედეგებზე რეაგირების უნარი ასახავს მყარ მიდგომას საგანმანათლებლო მიზნების მიღწევის და გადაჭარბების მიმართ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამების აღწერილობა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შიდა და გარე შეფასების შედეგების ანალიზი;
- სწავლების ხარისხის შეფასების შიდა და გარე მექანიზმები;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- მონაცემთა შეფასების ანალიზის მეთოდოლოგია;
- გასაუბრებები დაინტერესებულ მხარეებთან.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 ("ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - მე - 6 დონე)	x	☐	☐	☐
პროგრამა 2 ("ჯანდაცვის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - მე - 7 დონე)	x	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

უსდ - ს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, გადახედვის და გაუმჯობესების პროცედურები, რომლებიც დამტკიცებულია შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის აკადემიური საბჭოს მიერ - ოქმი №10, 05.10.2022. აღნიშნული პროცედურების შესაბამისად შემუშავდა ორი პროგრამა:

"ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის" საბაკალავრო პროგრამა და "ჯანდაცვის მენეჯმენტის" სამაგისტრო პროგრამა.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (უსდ) მიერ წარმოდგენილი ორივე საგანმანათლებლო პროგრამა განსხვავდება შინაარსით, მოცულობით და სირთულის დონით, რომლებიც შეესაბამება მათ საგანმანათლებლო დონეს. გარდა ამისა, პროგრამები შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან სრული შესაბამისობით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის და დაგროვების სისტემის (ECTS) პრინციპების გათვალისწინებით.

საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგებსა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგებს შორის შესაბამისობა წარმოდგენილია სწავლის შედეგების რუკით. აღნიშნული რუკა ასახავს კურსების ფარგლებში არსებულ ძირითად სწავლის სფეროებს და მათ კავშირს პროგრამის სწავლის შედეგებთან. მთლიანობაში, სწავლის შედეგებსა და სასწავლო კურსებს შორის შესაბამისობა ლოგიკურად თანმიმდევრულია.

საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაცია ვლინდება რამდენიმე ძირითადი პარამეტრით: სასწავლო პროცესში აქტიურად არის გამოყენებული ინგლისურენოვანი ლიტერატურა. გარდა ამისა, პროგრამა უზრუნველყოფს როგორც აკადემიური პერსონალისთვის, ისე სტუდენტებისთვის საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობებს.

აღწერა და ანალიზი

პროგრამა 1 - "ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - მე - 6 დონე

"ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის" საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს და ანიჭებს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის კვალიფიკაციას. სპეციალობის ძირითადი კურსები შედგება 213 კრედიტისგან, რომელიც მოიცავს ბიზნესის ძირითადი სფეროების ფუნდამენტურ კურსებს (171 კრედიტი) და ზოგად სავალდებულო კურსებს (42 კრედიტი). პროგრამა იწყება ბიზნესის საფუძვლების გაცნობით და თანდათანობით აღრმავებს და ატკიცებს დარგის სხვადასხვა ასპექტს.

პროგრამაში უზრუნველყოფილია მენეჯმენტის სფეროს სრულყოფილი დაფარვა შემდეგი კურსების მეშვეობით: მენეჯმენტის საფუძვლები, სტარტაპ მენეჯმენტი და მეწარმეობა, ჯანდაცვის მენეჯმენტი, ჯანდაცვის სისტემების მართვა, ლოგისტიკა და მიწოდების ჯაჭვის მართვა, ინოვაციების მენეჯმენტი, ოპერაციების და ხარისხის მართვა, ორგანიზაციული ქცევა და ლიდერობა, კლინიკების მართვა, ადამიანური რესურსების მართვა, ჯანდაცვის სახელმწიფო პოლიტიკა და რეგულაციები, ბიზნეს ეთიკა და სოციალური პასუხისმგებლობა. მარკეტინგის საკითხების გაცნობა და გაღრმავება ხორციელდება ისეთი კურსების მეშვეობით, როგორიცაა მარკეტინგის საფუძვლები და მომხმარებელთა ქცევა. ფინანსების კომპონენტი გაძლიერებულია ისეთი კურსებით, როგორიცაა ფინანსური აღრიცხვა, ფინანსური მენეჯმენტი, რისკების მართვა, დაზღვევა, საინვესტიციო მენეჯმენტი.

დამატებით, პროგრამა სთავაზობს მიკრო და მაკრო ეკონომიკის, ჯანდაცვის ეკონომიკის, სტატისტიკის საფუძვლების და ბიზნესის და ეკონომიკის სტატისტიკის კურსებს. ბოლო სემესტრში სტუდენტებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ბიზნესის ადმინისტრირების სტაჟირებაში, რომელსაც ენიჭება 14 კრედიტი. ასევე, ბოლო სემესტრში სტუდენტებმა უნდა დაწერონ საბაკალავრო ნაშრომი (16 კრედიტი).

უნივერსიტეტის სავალდებულო კურსები შეადგენს 42 კრედიტს, რომელიც მოიცავს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებს, კალკულუსს და აკადემიურ წერას. ძირითადი სპეციალობის არჩევითი კურსები მოიცავს 11 კრედიტს, რომელიც გადანაწილებულია 4 სასწავლო კურსში. გარდა ამისა, სავალდებულო კომპონენტში სტუდენტებს მოეთხოვებათ უცხო ენის შესწავლა. სტუდენტებისთვის ასევე ხელმისაწვდომია 16 კრედიტი არჩევითი კურსებისთვის. აღნიშნული არჩევითი კურსები სტუდენტებს საშუალებას აძლევს აირჩიონ კურსები უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამებიდან შესაბამისი წინაპირობების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს მათი ცოდნის გაფართოვებას პირადი ან პროფესიული ინტერესების შესაბამისად.

წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, დოკუმენტში სახელწოდებით "სასწავლო გეგმა და კურიკულუმი", Excel - ის ერთ - ერთი სამუშაო ფურცელზე ნაჩვენებია კრედიტების სემესტრული განაწილება. თუმცა, 8 სემესტრის ნაცვლად წარმოდგენილია მხოლოდ 4 სემესტრი და აღნიშნული არის კრედიტების განაწილება თითოეული აკადემიური წლის და არა სემესტრების მიხედვით. შესაბამისად, სასურველია ვიზუალურად უფრო მკაფიოდ აღქმის მიზნით წარმოდგენილი იყოს კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით, აკადემიური წლების ნაცვლად.

სწავლის შედეგების რუკაში ნაჩვენებია ყველა კურსისთვის გაცნობის და გაღრმავების დონე (განმტკიცების გარეშე), გარდა პროგრამის ბოლო ორი შედეგისა, სადაც ყველა კურსისთვის მითითებულია ძირითადად განმტკიცების დონე. თუმცა, პროგრამის სათანადო სტრუქტურისთვის რუკაში მითითებული უნდა იყოს პროგრამის საწყისი კურსები გაცნობის დონეზე, შემდეგ პროგრამის ძირითად ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს შედეგები გაღრმავების დონეზე და ბოლოს ზოგიერთ "დასკვნით" კურსში მითითებული უნდა იყოს შედეგები განმტკიცების დონეზე.

პროგრამა 2 - "ჯანდაცვის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - მე - 7 დონე

"ჯანდაცვის მენეჯმენტის" სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს და ანიჭებს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის კვალიფიკაციას. სპეციალობის ძირითადი კურსები შეადგენს 111 კრედიტს და მოიცავს ბიზნესის ძირითად სფეროებს, მათ შორის: მარკეტინგის მენეჯმენტი, სამეცნიერო კვლევის მეთოდები, მენეჯმენტის თანამედროვე მოდელები, ადამიანური კაპიტალის მართვა, სტრატეგიული მენეჯმენტი, გლობალური ჯანდაცვა, ლიდერობა, მონაცემთა დამუშავება და ანალიზი (SPSS), ჯანდაცვის ობიექტების ფინანსური მენეჯმენტი, ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემები, საავადმყოფოების მართვა, ბიზნეს კომუნიკაციები, რისკები და ჯანმრთელობის დაზღვევა, პროექტების მართვა, ჯანდაცვის სისტემების რეფორმები და პოლიტიკა, პრაქტიკა (4 კრედიტი) და სამაგისტრო ნაშრომი (26 კრედიტი).

პროგრამა იწყება ბიზნესის ფუნდამენტური კონცეფციებით და შესაბამისი კურსების მეშვეობით ეტაპობრივად აღრმავებს და ამყარებს მენეჯმენტის, მარკეტინგის, ფინანსების და ჯანდაცვის მენეჯმენტის ძირითად სფეროებს.

ძირითადი სპეციალობის არჩევითი კურსები მოიცავს 9 კრედიტს, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს აირჩიონ 4 სხვადასხვა კურსიდან.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს გაიარონ კომპიუტერზე დაფუძნებული მეცადინეობები სხვადასხვა კურსის ფარგლებში.

თუმცა, უნდა დაკორექტირდეს სწავლის შედეგების რუკა ისე, რომ ასახოს რეალური სურათი თუ როგორ მიიღწევა კურსების ფარგლებში პროგრამის შედეგები დონეების ეტაპობრივი ზრდით: თავდაპირველად უნდა იყოს გაცნობის დონე, შემდეგ გაღრმავების და ბოლოს განმტკიცების დონეები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამების აღწერილობა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამების დანართები;
- გასაუბრებები დაინტერესებულ მხარეებთან.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის ზოგადი რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 ("ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - მე -6 დონე)

რეკომენდაციები:

რჩევები:

- წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, დოკუმენტში სახელწოდებით "სასწავლო გეგმა და კურიკულუმი", Excel - ის ერთ - ერთი სამუშაო ფურცელზე ნაჩვენებია კრედიტების სემესტრული განაწილება. თუმცა, 8 სემესტრის ნაცვლად წარმოდგენილია მხოლოდ 4 სემესტრი და აღნიშნული არის კრედიტების განაწილება თითოეული აკადემიური წლის და არა სემესტრების მიხედვით. შესაბამისად, სასურველია ვიზუალურად უფრო მკაფიოდ აღქმის მიზნით წარმოდგენილი იყოს კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით, აკადემიური წლების ნაცვლად.
- სწავლის შედეგების რუკაში ნაჩვენებია ყველა კურსისთვის გაცნობის და გაღრმავების დონე (განმტკიცების გარეშე), გარდა პროგრამის ბოლო ორი შედეგისა, სადაც ყველა კურსისთვის მითითებულია ძირითადად განმტკიცების დონე. თუმცა, პროგრამის სათანადო სტრუქტურისთვის რუკაში მითითებული უნდა იყოს პროგრამის საწყისი კურსები გაცნობის დონეზე, შემდეგ პროგრამის ძირითად ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს შედეგები გაღრმავების დონეზე და ბოლოს ზოგიერთ "დასკვნით" კურსში მითითებული უნდა იყოს შედეგები განმტკიცების დონეზე.

პროგრამა 2 ("ჯანდაცვის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - მე - 7 დონე)

რეკომენდაციები:

რჩევები:

- სასურველია, დაკორექტირდეს სწავლის შედეგების რუკა ისე, რომ მითითებული იყოს რეალური სიტუაცია, თუ როგორ მიიღწევა კურსებში პროგრამის შედეგები დონის ეტაპობრივი ზრდით: დასაწყისში წარმოდგენილი უნდა იყოს გაცნობითი დონე, შემდეგ გაღრმავება და ბოლოს განმტკიცების დონე.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 ("ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - მე - 6 დონე)	x	☐	☐	☐
პროგრამა 2 ("ჯანდაცვის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - მე - 7 დონე)	x	☐	☐	☐

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საერთო ჯამში, კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და თითოეული კურსის შინაარსი ძირითადად ემთხვევა მის განზრახულ სასწავლო მიზნებს. თითოეული კურსის შინაარსი ძირითადად შეესაბამება კურსების სწავლის შედეგებს. კრედიტები, რომლებიც მინიჭებული აქვს თითოეულ კურსს, ასახავს მის შინაარსს და შედეგებს, თუმცა სტუდენტის სამუშაო დატვირთვა შეიძლება საკმაოდ დიდი იყოს. კურსების საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების თანაფარდობა არის ადეკვატური და ითვალისწინებს კურსების თავისებურებებს. საკონტაქტო საათების რაოდენობა შეესაბამება კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს. ქვემოთ მოხსენიებულ ზოგიერთ კურსში სწავლის შედეგები უნდა დარედაქტირდეს. სასწავლო მასალები, რომლებიც მითითებულია სილაბუსების ძირითად ნაწილში, უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა ზოგიერთ კურსში ლიტერატურა უნდა განახლდეს.

სასწავლო კურსების სილაბუსები შექმნილია უნივერსიტეტის სტანდარტიზებული სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით და გთავაზობენ დეტალურ ინფორმაციას კურსის სტატუსის, ფორმატის, მიზნების, შედეგების, შინაარსისა და როგორც სავალდებულო, ასევე დამხმარე საკითხავი მასალების შესახებ.

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

აღწერა და ანალიზი

პროგრამა 1 (ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, საფეხური 6)

ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს სპეციალობის სავალდებულო და არჩევით კურსებს, უნივერსიტეტის სავალდებულო და უნივერსიტეტის არჩევით კურსებს. კურსების შესახებ ინფორმაცია დეტალურად არის მოცემული სასწავლო კურსის სილაბუსებში, რომლებიც მოიცავს შემდეგ ძირითად კომპონენტებს: სწავლის მიზნები, სწავლის შედეგები, საკონტაქტო და დამოუკიდებელი სწავლის საათების განაწილება, შეფასების მეთოდები, სწავლების მეთოდები და კურსის შინაარსი შესაბამისი ლიტერატურით.

საერთო ჯამში, ძირითადი კურსების სწავლის შედეგები თანხვედრაშია პროგრამის სწავლის მიზნებთან და თითოეული კურსის შინაარსი შეესაბამება მის გაცხადებულ სწავლის შედეგებს. კრედიტების მოცულობა თითოეული კურსისთვის, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, მერყეობს 3-დან 6 კრედიტამდე. საკონტაქტო და დამოუკიდებელი სწავლის საათების გადანაწილება დაბალანსებულია. თითოეული სწავლის შედეგი ფასდება დადგენილი შეფასების სისტემის მიხედვით, ხოლო სილაბუსი შეიცავს სავალდებულო ლიტერატურას, რომელიც ძირითადად ხელს უწყობს კურსის სწავლის შედეგებს.

ზოგიერთ კურსში გამოყენებული ლიტერატურა მოძველებულია (მაგ. მიკროეკონომიკის პრინციპები, მაკროეკონომიკის პრინციპები, ფინანსური მენეჯმენტი).

ის ფაქტი, რომ ბაკალავრიატის "ფინანსური მენეჯმენტი" და მაგისტრატურის "ჯანდაცვის ობიექტების ფინანსური მენეჯმენტი" იდენტურ ლიტერატურას იყენებს (Fundamentals of Financial Management, Horne, Wachowicz, 2008 წ. ქართული თარგმანი), ჩნდება კითხვები ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო საფეხურებს შორის განსხვავებების შესახებ.

პროგრამა 2 (ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, საფეხური 7)

მთლიანობაში, სასწავლო გეგმაში ჩამოთვლილი აკადემიური კურსების საგანმანათლებლო შედეგები შეესაბამება პროგრამის სასწავლო მიზნებს და კურსების ძირითადი ნაწილის შინაარსი ემთხვევა მის განზრახულ სასწავლო შედეგებს. პრაქტიკული სავარჯიშოები, რომლებიც კურსებშია მოცემული, ეხმარება სტუდენტებს თეორიული ცოდნა რეალურ სიტუაციებში გამოიყენონ. ეს პრაქტიკული გამოცდილება მათ საშუალებას აძლევს უფრო ღრმად გაიგონ რთული კონცეფციები და გაიმყარონ

ცოდნა თეორიისა და პრაქტიკის ერთმანეთთან დაკავშირებით. სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან შესაბამისი სასწავლო მასალებით, თუმცა აუცილებელია ლიტერატურის განახლება შემდეგ სასწავლო კურსებზე: ჯანდაცვის ობიექტების ფინანსური მენეჯმენტი, ადამიანური კაპიტალის მართვა, მარკეტინგის მენეჯმენტი, კორპორაციული მართვა, ბიზნეს კომუნიკაციები. ერთ-ერთი კურსი ასევე შეიცავს რუსულ წიგნს, როგორც დამატებით ლიტერატურას: Капелюшников Р.И. Теория человеческого капитала. (რუსული ენა არ არის პროგრამის წინაპირობა, და ზოგიერთ სტუდენტს არ შეეძლება რუსული წიგნების წაკითხვა.)

კურსი "ჯანდაცვის ობიექტების ფინანსური მენეჯმენტი" უნდა გადაერქვას უბრალოდ "ფინანსური მენეჯმენტი" - იგი არ შეიცავს ჯანდაცვასთან დაკავშირებული ფინანსური მენეჯმენტის სპეციფიკურ ასპექტებს.

ლიდერობის სილაბუსის შედეგები უნდა შეიცვალოს. სასწავლო მასალებისა და ლექციების განრიგში მოცემული დეტალური თემების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ეს კურსი ეხება მხოლოდ ლიდერობას, ჯანდაცვის მიმართულებაზე აქცენტის გარეშე. შესაბამისად, ყველა შედეგიდან სიტყვა „ჯანდაცვა“ უნდა წაიშალოს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამების აღწერა
- პროგრამების დანართები
- სილაბუსები
- ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, საფეხური 6)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- ზოგიერთი კურსის ლიტერატურა მოძველებულია (მაგ. მიკროეკონომიკის პრინციპები, მაკროეკონომიკის პრინციპები, ფინანსური მენეჯმენტი). რეკომენდებულია, განახლდეს ლიტერატურა ახალი გამოცემებით.
- საბაკალავრო პროგრამის "ფინანსური მენეჯმენტის" და სამაგისტრო პროგრამის "სამედიცინო ობიექტების ფინანსური მენეჯმენტის" კურსებში გამოყენებულია ერთი და იგივე ლიტერატურა (ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები, ჰორნი, ვაჩოვიჩი, 2008 წლის გამოცემა ქართული თარგმანი), რაც ბადებს კითხვებს საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო დონეებს შორის განსხვავებების შესახებ. რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამების დონეების შესაბამისი სხვადასხვა სახელმძღვანელოების გამოყენება (მაგისტრატურა და ბაკალავრიატი).
-

რჩევები:

პროგრამა 2 (ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, საფეხური 7)

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, განახლდეს შემდეგი სასწავლო კურსების ლიტერატურა: სამედიცინო ობიექტების ფინანსური მენეჯმენტი, ადამიანური კაპიტალის მართვა, მარკეტინგის მენეჯმენტი, კორპორაციული მართვა, ბიზნეს კომუნიკაციები.
- რეკომენდებულია, შეიცვალოს "სამედიცინო ობიექტების ფინანსური მენეჯმენტის" კურსის სახელწოდება "ფინანსური მენეჯმენტით" ვინაიდან არ მოიცავს ჯანდაცვასთან დაკავშირებულ ფინანსურ მენეჯმენტს.

რჩევები:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 1.5 სასწავლო კურსი/საგანი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
---	---------------------------------	---	---	---

პროგრამა 1 (ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, საფეხური 6)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 (ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, საფეხური 7)	☐	☒	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, საფეხური 6)	x	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, საფეხური 7)	x	☐	☐	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, „ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის“ საბაკალავრო პროგრამისა და „ჯანდაცვის მენეჯმენტის“ სამაგისტრო პროგრამის მიღების მოთხოვნები შესაბამისობაშია საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მარეგულირებელი კანონით დადგენილ რეგულაციებთან. აღნიშნული კრიტერიუმები მკაფიოა და საჯაროდ ხელმისაწვდომი, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს, ჩაირიცხოთ შესაბამის პროგრამებზე საჭირო ცოდნისა და კვალიფიკაციის საფუძველზე.

ბოლო წლების დაბალი ჩარიცხვის მაჩვენებელი (ბოლო სამ წელიწადში ბაკალავრიატზე - 10-ზე ნაკლები სტუდენტი, ხოლო მაგისტრატურაზე - 3-ზე ნაკლები) მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს აღნიშნული აკადემიური პროგრამების მდგრადობისთვის. 2024-2025 აკადემიური წლისთვის ბაკალავრიატზე პირველკურსელთა რაოდენობა იყო 13, ხოლო მაგისტრატურაზე - 4. ასეთი მცირე რაოდენობის სტუდენტების მიღება შეიძლება გახდეს სხვადასხვა პრობლემის მიზეზი, მათ შორის: უნივერსიტეტის რესურსების არაეფექტური გამოყენება, პედაგოგიური პერსონალის ჩართულობის შენარჩუნების სირთულე და ინსტიტუციის ფინანსური დამაბულობა. გარდა ამისა, სტუდენტთა მცირე რაოდენობა ზღუდავს თანატოლებთან ურთიერთობას, ამცირებს აკადემიურ დისკუსიებში მრავალფეროვნებას და სწავლების საერთო გამოცდილებას, რაც შემდგომში შესაძლოა დამატებით ხელისშემშლელ ფაქტორად იქცეს პოტენციური სტუდენტების ჩარიცხვისთვის. პროგრამების მდგრადობის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია უნივერსიტეტმა შეიმუშაოს პროაქტიული და ყოვლისმომცველი სტრატეგიული გეგმა, რომელიც მიმართული იქნება სტუდენტების ჩარიცხვის გაზრდაზე.

ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:

თვითშეფასების ანგარიში და ასევე დამატებითი დოკუმენტები ადასტურებს, რომ აპლიკანტებმა უნდა წარმოადგინონ სკოლის დამამთავრებელი სერტიფიკატი ან მისი ეკვივალენტი და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები. თუ არიან აპლიკანტები, რომლებსაც შეუძლიათ ჩარიცხვა ერთიანი ეროვნული გამოცდის გარეშე, ეს შემთხვევები რეგულირდება საქართველოს კანონით უმაღლესი განათლების შესახებ, ამიტომ ისინი უნდა აკმაყოფილებდნენ მითითებულ პირობებს. საერთაშორისო აპლიკანტებისთვის მიღების პროცესს არეგულირებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა:

პროგრამის აღწერის შესაბამისად, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად აპლიკანტები უნდა ფლობდნენ ბაკალავრის ხარისხს ან მის ეკვივალენტს, ჩააბარონ ერთიანი სამაგისტრო გამოცდები, უნივერსიტეტის მიერ დადგენილი სპეციალობის გამოცდები და ინგლისური ენის ტესტი (მინიმუმ B2 დონე). თუ კანდიდატს აქვს ინგლისური ენის B2 დონის სერტიფიკატი, იგი თავისუფლდება ინგლისური ენის გამოცდისგან. ადგილზე ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა სტუდენტებს, თუმცა მათ შორის მხოლოდ ერთი იყო სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამიდან. მან დაადასტურა, რომ გაიარა ეს ეტაპები და ასევე დაადასტურა ინგლისური ენის ცოდნა. მოცემული სასწავლო პროგრამის სტუდენტთა რაოდენობა მეტად დაბალია, გასული წლის განმავლობაში მხოლოდ ერთი სტუდენტი იყო, რომელმაც დაადასტურა, რომ ყველა მეცადინეობა ჩატარდა მიუხედავად იმისა, რომ იყო მხოლოდ ერთი სტუდენტი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- ინტერვიუები ვიზიტის დროს
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა მიიღოს პროაქტიული და ყოვლისმომცველი სტრატეგიული გეგმა, რომელიც პროგრამების მდგრადობის უზრუნველსაყოფის მიზნით მიმართული იქნება სტუდენტთა რაოდენობის გაზრდისკენ.

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, საფეხური 6)	☐	X	☐	☐
პროგრამა 2 (ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, საფეხური 7)	☐	X	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ადგილზე გასაუბრებით დასტურდება, რომ „ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამას და „ჯანდაცვის მენეჯმენტის“ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამას გააჩნიათ სტუდენტთა პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების სხვადასხვა მექანიზმი.

სასწავლო გეგმა მოიცავს პრაქტიკულ დავალებებს (ქვიზები, ტესტები), გუნდურ მუშაობასა და კონსულტაციებს (ინდივიდუალური შეხვედრა მასწავლებელთან გაურკვეველი საკითხების გარკვევის მიზნით). პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს სტაჟირების გავლის შესაძლებლობას სავალდებულო საგანმანათლებლო კომპონენტის სახით. უნივერსიტეტი ეხმარება სტუდენტებს სტაჟირების მოძიებაში.

კვლევითი უნარ-ჩვევების განსავითარებლად, პროგრამა მოიცავს საბაკალავრო ნაშრომს როგორც ძირითად კომპონენტს, რომელსაც ენიჭება 16 კრედიტი. თუმცა სტუდენტთა პრაქტიკული, ანალიზური, პრობლემის გადაჭრის, კომუნიკაციის და განსაკუთრებით კვლევითი უნარ-ჩვევების გასაუმჯობესებლად, პროგრამის სავალდებულო კომპონენტებში შედის ისეთი კურსები, როგორიცაა აკადემიური წერა, ბიზნეს ეთიკა და სოციალური პასუხისმგებლობა, აგრეთვე საბაკალავრო ნაშრომი, რაც უზრუნველყოფს კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარებას.

პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებისთვის უნივერსიტეტი ხელს უწყობს და მხარს უჭერს სტუდენტების მონაწილეობას პროექტებსა და სტუდენტურ კონფერენციებში, ასევე სთავაზობს ინდივიდუალურ კონსულტაციებს (მენტორინგს) ინდივიდუალურ საგნებთან დაკავშირებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამები (საბაკალავრო და სამაგისტრო);
- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრება მენეჯმენტთან, ლექტორებთან, სტუდენტებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან.
- სილაბუსი

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- უნივერსიტეტმა მეტი შესაძლებლობა უნდა მისცეს სტუდენტებს, მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში, რათა განავითარონ მათი ტრანსფერული უნარები, განსაკუთრებით საერთაშორისო გამოცდილება, სადაც განვითარება აუცილებელია.

კლასტერის საერთო რჩევები: არ ეხება

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, საფეხური 6)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 (ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, საფეხური 7)	☐	☒	☐	☐

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება- სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

მოცემული დოკუმენტაცია და ადგილზე ჩატარებული გასაუბრებები მიუთითებს, რომ პროგრამის საგანმანათლებლო კომპონენტები ხორციელდება შემდეგი სწავლება/სწავლის მეთოდებით:

- მასალის ზეპირი წარდგენა - თეორიული მასალის ზეპირი პრეზენტაცია, კონკრეტულ საკითხებზე დისკუსია, რომელიც შეიძლება განხორციელდეს თხრობის ფორმით ან კითხვა-პასუხის რეჟიმში.
- ქვიზი - პრაქტიკული დავალებების სახით, რომლებიც შეიძლება შესრულდეს წერილობით ან კომპიუტერული ფორმით.
- პრაქტიკული სამუშაო - სავარჯიშოების შესრულება გავლილი მასალაზე დაყრდნობით, რაც ეხმარება გავლილი მასალის გაგებაში მიმდინარე მასალასთან კორელაციაში და მის პრაქტიკაში რეალიზებაში.
- ტესტი - წერიტი სამუშაო, შედგენილი კონკრეტულ თემაზე საკითხების ან კითხვების სახით;
- წიგნთან მუშაობის მეთოდი - მითითებული ლიტერატურის დამუშავება.
- წერიტი მუშაობის მეთოდი - საშინაო დავალების შესრულება IT ტექნოლოგიების გამოყენებით პრაქტიკული დავალებებისთვის (ORIS პროგრამის საბუღალტრო ადრიცხვის საგანში) ვირტუალური საწარმოების მაგალითზე.
- კონსულტაცია - ინდივიდუალური შეხვედრა მასწავლებელთან გაუგებარ, დასაზუსტებელ საკითხებთან დაკავშირებით

იმისათვის, რომ ეფექტურად იქნეს განხორციელებული სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება და სწავლა, აუცილებელია სტუდენტებს ჰქონდეთ მეტი პრაქტიკული გამოცდილება; მათი სასწავლო პრაქტიკის ნაწილი ორგანიზებული უნდა იყოს უნივერსიტეტის მიერ. ეს მნიშვნელოვანია, რადგან გასაუბრებების დროს აღმოჩნდა, რომ სტუდენტების ძირითადი ნაწილი საერთოდ არ იყენებს საერთაშორისო მონაცემთა ბაზებს, ლიტერატურას. მასწავლებელსა და სტუდენტს შორის არის მჭიდრო პროფესიული და კვლევითი ურთიერთობა. მასწავლებლები ეხმარებიან სტუდენტებს ნაშრომის მომზადებაში, სთავაზობენ საკვლევი თემების არჩევანს, ინტერვიუს შაბლონებს, ამზადებენ დროის გეგმას და აძლევენ პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების შესაძლებლობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამები (საბაკალავრო და სამაგისტრო);
- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრება მენეჯმენტთან, ლექტორებთან, სტუდენტებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან.
- სილაბუსი

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩე(ებ)ი:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩე(ებ)ი:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 2.3 სწავლება- სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, საფეხური 6)	X	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, საფეხური 7)	X	☐	☐	☐

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტუდენტთა ცოდნის შეფასებისას ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის საბაკალავრო, აგრეთვე ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო საფეხურზე, უნივერსიტეტი „გეომედი“ ხელმძღვანელობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული (ECTS) სისტემით; საქართველოს კანონით „უმაღლესი განათლების შესახებ“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესი“, რაც გულისხმობს:

ხუთი ტიპის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი – 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა;

(C) კარგი - 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა

(E) საკმარისი - 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX)- ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც გულისხმობს, რომ სტუდენტს მეტი მუშაობა ჭირდება ჩასაბარებლად და ენიჭება უფლება გაიაროს დამატებითი გამოცდა, რისთვისაც მოემზადება დამოუკიდებლად;

(F)- ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 და ნაკლები ქულა. ეს ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაო არ არის საკმარისი და მან ხელახლა უნდა გაიაროს საგანი.

სტუდენტის სემესტრული შეფასება განისაზღვრება შუალედური და დასკვნითი გამოცდის ქულების ჯამით და შეადგენს 100 ქულას.

შემაჯამებელი შეფასება მოიცავს ორ შემადგენელ ელემენტს - შუალედურ და საბოლოო შეფასებას. შუალედური შეფასება იყოფა შემდეგ კომპონენტებად: შუალედური გამოცდა, სემინარი/პრაქტიკული აქტივობა, პრეზენტაცია, ტესტი, სიტუაციური ამოცანები, ესე და სხვ.

შუალედურ გამოცდაზე კომპეტენციის მინიმალური ზღვარი არ არსებობს. ხოლო დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობაა შუალედური შეფასების არანაკლებ 50%. მინიმალური კომპეტენციის ზღვარი საბოლოო გამოცდის ჩასაბარებლად არის 50%+1, თუ ნაკლებია, საბოლოო გამოცდის შეფასება ნულის ტოლია. თუ სტუდენტის ქულა მერყეობს 41-50 ქულის ფარგლებში, მას ეძლევა საბოლოო გამოცდის ჩაბარების საშუალება, ხოლო თუ სტუდენტის ქულა 41-ზე ნაკლებია, იგი ვალდებულია საგანი თავიდან გაიაროს. თუ სტუდენტის შუალედური ქულა 51 ქულაზე მეტი ან ტოლია, სტუდენტი მაინც ვალდებულია ჩააბაროს საბოლოო გამოცდა და გადალახოს შესაბამისი კომპეტენციის ზღვარი.

რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომის შეფასებას, შეფასების სისტემა შემდეგნაირად გამოიყურება:

ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი (91-100 ქულა);

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) - შედეგი, რომელიც დადგენილ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება (81- 90 ქულა);

გ) კარგი (cum laude) - შედეგი, რომელიც დადგენილ მოთხოვნებს აღემატება (71-80 ქულა);

დ) საშუალო (bene) -

საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც დადგენილ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს (61-70 ქულა);

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, დადგენილ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს (51-60 ქულა);

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი უზუსტობების გამო (41-50 ქულა);

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც საერთოდ არ აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს (0-40 ქულა).

სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებია: ნაშრომის სტრუქტურა - 5 ქულა; დასახული მიზნებისა და კვლევის მეთოდების თავსებადობა - 15 ქულა; გამოყენებული წყაროების მრავალფეროვნება და სანდოობა - 10 ქულა; ციტირების ტექნიკა - 5 ქულა; პრეზენტაციის ტექნიკა და ტექნოლოგია - 5 ქულა; თემის აქტუალობა და წარმოდგენა - 15 ქულა; მსჯელობისა და კრიტიკული

ანალიზის უნარი - 15 ქულა; დასკვნები და რეკომენდაციები - 10 ქულა; კვლევის დაგეგმვა და განხორციელება - 15 ქულა; რეგლამენტის დაცვა - 5 ქულა.

სამაგისტრო ნაშრომის 15-ქულიანი შეფასების კრიტერიუმებში, როგორც წესი, არ არის გამოყოფილი კონკრეტული მაქსიმალური ქულა თითოეული კომპონენტისთვის. ჩვენ მიგვაჩნია, რომ იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტულ კომპონენტში სტუდენტს მინიმალური 0 ქულა ენიჭება, იგივე ლოგიკით მაქსიმალური ქულის კრიტერიუმიც უნდა იყოს გაწერილი ერთმნიშვნელოვნად და გარკვევით. მინიმალურ და მაქსიმალურ რეიტინგებს შორის ქულები იძლევა მანიპულაციის საშუალებას და შეიძლება უცვლელი დარჩეს. სამაგისტრო ნაშრომის გარდა, აღნიშნული პრობლემა მეტ-ნაკლებად გვხვდება როგორც საბაკალავრო, ასევე სამაგისტრო საფეხურის სასწავლო კურსების სილაბუსებში. შესაბამისად, საჭიროა სილაბუსების გადახედვა და არსებული მიდგომის ჩანაცვლება ჩვენს მიერ შემოთავაზებული მეთოდით.

სტუდენტებისთვის წინასწარ ცნობილია საგნის სილაბუსით გათვალისწინებული აქტივობების, შეფასების კომპონენტების, კრიტერიუმებისა და მეთოდების შესახებ ინფორმაცია. ვიზიტის დროს, შესაბამის სესიებზე დადგინდა, რომ შეფასების გამჭვირვალობის თვალსაზრისით ყველაფერი წესრიგშია. როგორც აღინიშნა, სათანადო შეფასებას ყოველთვის ახლავს რეფლექსია, თუ რატომ მიიღო მოსწავლემ კონკრეტული ქულა.

უნივერსიტეტში არსებობს გასაჩივრების მექანიზმი, რომელიც დაინტერესებულ პირს საშუალებას აძლევს გაასაჩივროს სასწავლო კურსების გამოცდის დავალებებში ან საკვალიფიკაციო ნაშრომებში მიღებული შეფასება. გასაჩივრების პროცესში შესაძლოა მონაწილეობა მიიღოს სხვა შემფასებელმა/შემფასებლებმა, თუმცა, როგორც ვიზიტის დროს გაირკვა, მსგავსი პრეცედენტი ჯერ არ დაფიქსირებულა.

ვიზიტის დროს ასევე დადასტურდა ინფორმაცია, რომ შუალედური და საბოლოო გამოცდები შედგება ტესტური დავალებებისგან, რომლებსაც სტუდენტი ასრულებს სპეციალურად გამოყოფილ სივრცეში - საგამოცდო ცენტრში, კომპიუტერზე. ტესტის დასრულების შემდეგ, მას შეუძლია რამდენიმე წუთი დაუთმოს თავისი პასუხების გადამოწმებას და იმის ნახვას თუ სად დაუშვა შეცდომა. ჩვენთვის ნათელია, რომ სტუდენტები ივითარებენ ტრანსფერულ და ანალიტიკურ უნარებს შუალედურ აქტივობებში სხვადასხვა დავალების საშუალებით, თუმცა ვფიქრობთ, რომ უნდა იყოს შესაძლებელი ამ უნარების დემონსტრირება შუალედურ და საბოლოო გამოცდებზეც, რაც გამოცდის დავალებების იმგვარად ჩამოყალიბებას გულისხმობს, რომ სტუდენტს, ტესტური დავალებების გარდა, ჰქონდეს

პრობლემის გადაჭრისა და ანალიტიკური აზროვნების უნარის გამოვლენის, კონკრეტული სასწავლო კურსის ფარგლებში შესაბამის ღია კითხვებზე წერილობითი პასუხის გაცემის საშუალება.

უსდ-ს აკადემიური და კვლევითი ეთიკა, აკადემიური კეთილსინდისიერება, პლაგიატის პრევენციის, გამოვლენისა და რეაგირების მექანიზმები გამოიყენება სტუდენტთა შეფასებაში. ამ მიზნით უნივერსიტეტმა შეიძინა პლაგიატის აღმოჩენის პროგრამა - Copyleaks.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, წარდგენისა და შეფასების ინსტრუქციები
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- საგანმანათლებლო პროგრამის თანდართულ სილაბუსებში ასახული შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები;
- სტუდენტების შეფასების ელექტრონული სისტემა/პორტალი
- საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა
- დაცული სამაგისტრო ნაშრომები
- შეფასების შედეგების გასაჩივრების პროცედურა
- პლაგიატის პრევენციის, გამოვლენისა და რეაგირების მექანიზმი
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
- გასაუბრებების შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია შეფასების ინდივიდუალური კომპონენტებისთვის მაქსიმალური ქულის ცალკეული კრიტერიუმის შემუშავება.

- რეკომენდებულია, შუალედური და დასკვნითი გამოცდების დავალებები შემუშავდეს ისე, რომ მიმართული იყოს სტუდენტების ტრანსფერული და ანალიტიკური უნარების განვითარებაზე.

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 2.4. - სტუდენტების შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, საფეხური 6)	☐	X	☐	☐
პროგრამა 2 (ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო	☐	X	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (დასახელება, საფეხური)	☐	X	☐	☐
პროგრამა 2 (დასახელება, საფეხური)	☐	X	☐	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

გეომედის სტუდენტები აქტიურად იღებენ ინფორმაციას სხვადასხვა აუცილებელი მიმართულებებით: სასწავლო პროცესის დაგეგმვა, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესება, კონსულტაცია შესაბამისი დასაქმების შესახებ და კარიერული განვითარების მხარდაჭერა. დაწესებულების პერსონალი, მათ შორის პროგრამაში ჩართული პირები და/ან დაწესებულების სტრუქტურული ერთეულები, უზრუნველყოფენ სტუდენტებისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას უსდ-ში ხელმისაწვდომი კონსულტაციების შესახებ. ვიზიტის დროს აღნიშნული ინფორმაცია დადასტურდა, შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდება წესრიგშია.

სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდების რამდენიმე ეფექტური მეთოდი და არხი არსებობს, როგორც ინტერპერსონალური, ისე ელექტრონული და ონლაინ. 2019 წლის გაზაფხულიდან უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტური მომსახურების ცენტრი, რომელიც შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად ჩართულია სტუდენტებისთვის სრულფასოვანი ინფორმაციის მიწოდებაში დასაქმების მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების, უნივერსიტეტის, ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტებისა და ღონისძიებების, ასევე დაგეგმილი კლასგარეშე (სპორტული, მხატვრული, შემეცნებითი) აქტივობების შესახებ.

კონსულტირების ნაწილში, სწავლის დასაწყისში, პირველ კვირაში ხდება განსაკუთრებული მობილიზაცია. უნივერსიტეტის სხვადასხვა საგანმანათლებლო საფეხურის სტუდენტები ინფორმაციას იღებენ უნივერსიტეტში ჩარიცხვისთანავე სხვადასხვა საკითხის შესახებ. ამ პროცესში არა მხოლოდ აკადემიური პერსონალი მონაწილეობს, არამედ უნივერსიტეტის სერვისების ყველა მნიშვნელოვანი რგოლი. აღნიშნული შეხვედრები მოიცავს სტუდენტებისთვის უნივერსიტეტის სერვისებისა და სხვადასხვა პროცედურების შესახებ მაქსიმალურად სრულფასოვანი და ამომწურავი ინფორმაციის მიწოდებას.

პირველივე ლექციაზე სტუდენტები იღებენ საჭირო ინფორმაციას უშუალოდ სასწავლო კურსებთან დაკავშირებით. როგორც აღნიშნულია, შესაბამისი საგნის პროფესორ-მასწავლებელი პირველივე ლექციაზე სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას სილაბუსით გათვალისწინებული აქტივობებისა და შეფასების კრიტერიუმების შესახებ.

გეომედის კლასტერში დაჯგუფებული ორივე პროგრამისთვის არსებობს უკუკავშირის ისეთი მნიშვნელოვანი მექანიზმი, როგორიცაა გამოკითხვები. მათი ნაწილი ტარდება სემესტრულად, ნაწილი კი ყოველწლიურად. აღნიშნული მიმართულებით აღსანიშნავია გამოკითხვების ფორმებისა და ადრესატების მრავალფეროვნება, ვინაიდან კითხვარებს ავსებენ: სტუდენტები, კურსდამთავრებულები, პროფესორები, დამსაქმებლები და ა.შ. კითხვარების ერთი ნაწილი სწავლობს სტუდენტების კმაყოფილების დონეს შემდეგი მიმართულებებით: სასწავლო კურსები, ლექტორები, ინფრასტრუქტურა და ა.შ. სტუდენტთა გამოკითხვები ანონიმურია და ტარდება ყოველ სემესტრში. გარდა ამისა, როგორც ვიზიტის დროს გაირკვა, თავად პროფესორებიც ატარებენ გამოკითხვებს, რათა შეისწავლონ, რამდენად კმაყოფილი იყვნენ სტუდენტები წინა სემესტრით და ასევე თუ რის გაუმჯობესებას ისურვებდნენ ისინი.

რაც შეეხება სტუდენტების ინფორმირებას კარიერული განვითარების შესახებ, საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი სტუდენტებს კონსულტაციას უწევს დასაქმებისა და სტაჟირების კუთხით, სტუდენტებს ასევე აქტიურად აწვდიან ინფორმაციას ვაკანსიების შესახებ.

რაც შეეხება საერთაშორისო მობილობის/გაცვლით პროგრამებს, მიუხედავად იმისა, რომ ვიზიტის დროს სესიებზე მსგავსი გამოცდილების მქონე სტუდენტები მცირე რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილი, მათ დაადასტურეს, რომ მათ სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ მიეწოდებათ ინფორმაცია, თუმცა მონაწილეობის თვალსაზრისით აღნიშნეს, რომ პირადი მიზეზების გამო არ იღებენ მონაწილეობას. ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ უნივერსიტეტის ძალისხმევა აქეთ უნდა იყოს მიმართული, რათა კიდევ უფრო გაიზარდოს სტუდენტების ჩართულობა საერთაშორისო პროექტებში.

აგრეთვე მნიშვნელოვანია სტუდენტების ჩართულობის ზრდა რეგიონულ ან ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებშიც. როგორც ვიზიტის დროს აღინიშნა, უნივერსიტეტი წელიწადში ორჯერ ატარებს სამეცნიერო კონფერენციას, რომელშიც მონაწილეობენ გეომედის სტუდენტები, თუმცა კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სტუდენტების მონაწილეობა მინიმალურია. მნიშვნელოვანია, რომ ყურადღება მიექცეს ამ მიმართულებასაც.

უნივერსიტეტში ხდება სხვადასხვა ღონისძიებების, ტრენინგების, ვორქშოფების ორგანიზება. დამატებით მოთხოვნილი და წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ყურადღება უნდა გამახვილდეს აღნიშნულ მიმართულებაზეც. 2024 წლის აკრედიტაციის ვიზიტამდე ჩატარებული ტრენინგები დაკავშირებული იყო შემდეგ თემებთან: 1) ვებინარი: სამეცნიერო სამედიცინო ინფორმაციის ძიება ელექტრონულ ჟურნალებსა და წიგნებში, რომლებიც ხელმისაწვდომია გეომედისათვის; 2) ვებინარი: როგორ მოვახდინოთ ნავიგაცია Scopus-ის სათაურებში; 3) EBSCOhost პლატფორმის ახალი მომხმარებლის ინტერფეისი. ყველაფერი, რაც უნდა იცოდეთ განახლებული პლატფორმის ფარგლებში სამეცნიერო სამედიცინო ელექტრონულ რესურსებზე წვდომისა და გამოყენების შესახებ; 4) ბიბლიოთეკის სერვისები და მათი გამოყენება. საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების გამოყენების გზები.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ჩატარებული ტრენინგები
- დაგეგმილი და განხორციელებული საკონსულტაციო სერვისები

- დოკუმენტები/ინფორმაცია სტუდენტთა ჩართულობის შესახებ ადგილობრივ და საერთაშორისო აქტივობებში
- სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახურის რეგულაციები
- უნივერსიტეტის ვებგვერდი
- ინტერვიუს შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, დაწესებულებამ გაააქტიუროს საერთაშორისო მობილობა სემესტრული გაცვლითი პროგრამების და მოკლევადიანი საერთაშორისო პროექტების მიმართულებით.

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია, დაიგეგმოს და განხორციელდეს უფრო მეტად სასარგებლო ტრენინგები / სამუშაო შეხვედრები / ღონისძიებები წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებულ შესაბამის საკითხებზე;
- სასურველია დაიგეგმოს და განხორციელდეს მეტი აქტივობა სტუდენტთა კარიერული განვითარების მიმართულებით.

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

.....

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 (ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა)	☐	☒	☐	☐

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

გეომედის ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამას ჰყავს ნაშრომების კვალიფიციური ხელმძღვანელები, რომელთა კომპეტენცია დადასტურებულია სფეროს შესაბამისი განათლებით, სამეცნიერო ნაშრომებით და შეესაბამება მისანიჭებელი ხარისხის მოთხოვნებს, პროგრამის სპეციფიკასა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას.

როგორც ვიზიტის დროს აღინიშნა, ხელმძღვანელი სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელებაში. აღნიშნული მიმართულებით მხოლოდ დადებითი შეფასებები გაჟღერდა.

როგორც ვიზიტის დროს დადგინდა, ხელმძღვანელი ეხმარება მაგისტრანტებს თემის შერჩევაში, გეგმის შედგენასა და ბიბლიოგრაფიის დამუშავებაში. პერიოდულად ამოწმებს თემაზე მუშაობის პროგრესს, აკეთებს კომენტარებს და უზრუნველყოფს შესაბამისი კონსულტაციების განხორციელებას. ნაშრომის დასრულების შემდეგ ამზადებს წერილობით დასკვნას.

თემის ხელმძღვანელს შეუძლია ერთდროულად უხელმძღვანელოს მაქსიმუმ სამი აქტიური სტატუსის მქონე მაგისტრანტს, შესაბამისად, თემის ხელმძღვანელებისა და მაგისტრანტების რაოდენობის თანაფარდობის განსაზღვრის მეთოდოლოგია უზრუნველყოფს ეფექტურ ხელმძღვანელობას.

როგორც აღინიშნა, პროფესორები მზად არიან ხელმძღვანელობისთვის, გარკვეული შეზღუდვების ფარგლებში. მეორე მხრივ, სტუდენტებს აქვთ თავისუფლება როგორც თემის, ისე ხელმძღვანელის არჩევის პროცესში. ხელმძღვანელი აქტიურად არის ჩართული სამუშაო პროცესში ნაშრომზე მუშაობის ყველა ეტაპზე.

მას შემდეგ, რაც ხელმძღვანელი და მაგისტრანტი თანხმდებიან საერთო ხედვაზე, ინიშნება საკონსულტაციო საათები, რომლის დროსაც ხელმძღვანელი ეხმარება სტუდენტს ნაშრომის ორგანიზებაში: სარჩევიდან დასკვნამდე. კონსულტაციების სიხშირე დამოკიდებულია თემის სპეციფიკაზე, მაგრამ შეხვედრები რეგულარული და უწყვეტია.

საჭიროების შემთხვევაში, მაგისტრანტს ხელმძღვანელთან ერთად თანახელმძღვანელიც უწევს მხარდაჭერას. როგორც აღინიშნა, თუ თემა მულტიდისციპლინურია, ასეთ შემთხვევაში ინიშნება თანახელმძღვანელიც, თუმცა წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში უნივერსიტეტს მსგავსი გამოცდილება არ ჰქონია.

ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამისთვის, რომელიც წარმოდგენილია გეომედის ბიზნესის კლასტერში, შემუშავებულია მაგისტრანტის ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის დანიშვნის, შეცვლის, უფლებამოსილებებისა და ხელმძღვანელობის/თანახელმძღვანელობის პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტები.

რაც შეეხება ნაშრომის წესებსა და კრიტერიუმებს, გარდა იმისა, რომ ხელმძღვანელი თავის მაგისტრანტებს აცნობს შესაბამის მასალას, დოკუმენტაცია ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზეც.

აკადემიური კეთილსინდისიერების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტი იყენებს პლაგიატის საწინააღმდეგო პროგრამას - **Copyleaks**, რომელშიც მაგისტრანტი ვალდებულია ნაშრომის დაცვამდე ატვირთოს თავისი ნაშრომი.

ვიზიტის დროს მოთხოვნილი საკვალიფიკაციო ნაშრომების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ლიტერატურის მიმოხილვას, რაც მნიშვნელოვანია სამეცნიერო სიახლეების განსაზღვრისთვის სამაგისტრო ნაშრომების შეფასებისას.

გარდა ამისა, უნდა გაძლიერდეს ნაშრომების მეთოდოლოგიური ნაწილი, რათა მას არ ჰქონდეს მხოლოდ მეთოდების რეპრეზენტაციის ფორმა. ექსპერტთა ჯგუფი ფიქრობს, რომ ისეთ სამეცნიერო-პოპულარულ ნაშრომში, როგორიცაა სამაგისტრო ნაშრომი, კვლევის მეთოდები და მისი გამოყენების პერსპექტივები დეტალურად უნდა იყოს ახსნილი, რათა ეს კომპონენტი გასაგები იყოს სხვა სფეროს წარმომადგენლისათვის. ასევე მნიშვნელოვანია წყაროების მრავალფეროვანება და უცხოური წყაროების ჩართვა სამაგისტრო ნაშრომებში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ მიმართულებითაც უფრო მეტი ძალისხმევა უნდა იყოს გაწეული.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან
დაკავშირებული მაჩვენებლები

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)⁷

სამაგისტრო ნაშრომების
ხელმძღვანელების რაოდენობა

//სადოქტორო ნაშრომების
ხელმძღვანელების რაოდენობა

მაგისტრანტების რაოდენობა

//დოქტორანტების რაოდენობა

თანაფარდობა - სამაგისტრო ნაშრომების
ხელმძღვანელები/მაგისტრანტები N/A

თანაფარდობა - სადოქტორო ნაშრომების
ხელმძღვანელები/დოქტორანტები

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის თანხმობის ფორმა და/ან ხელმძღვანელის დანიშვნის, შეცვლის და უფლებამოსილებების განმსაზღვრელი დოკუმენტი.
- სამაგისტრო პროგრამაზე ნაშრომთა ხელმძღვანელების რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია.
- ხელმძღვანელების თანაფარდობა აქტიური სტატუსის მქონე მაგისტრანტებთან;
- სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, წარდგენისა და შეფასების ინსტრუქციები;
- ნაშრომის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის აქტივობების ხარისხის შეფასების მექანიზმი და შეფასების შედეგები
- საჯარო ინფორმაცია ნაშრომის ხელმძღვანელთა კვლევითი ინტერესებისა და პუბლიკაციების შესახებ
- უნივერსიტეტის ვებგვერდი
- გასაუბრების შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

⁷ საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 (ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- რეკომენდებულია, მეტი ყურადღება დაეთმოს სამაგისტრო ნაშრომების მეთოდოლოგიურ ნაწილს, ლიტერატურის მიმოხილვას და წყაროების მრავალფეროვნებას.

რჩევ(ებ)ი:

.....

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა				
პროგრამა 1 (ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა)	☐	☒	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 (ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა)	☐	☒	☐	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის/კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია და საათობრივი დატვირთვა მნიშვნელოვანი ფაქტორებია სწავლის გამიზნული შედეგების მიღწევისთვის.

პროგრამის ხელმძღვანელები და თანახელმძღვანელი (რომელიც წარსულში პროგრამის ხელმძღვანელი იყო) ფლობენ საჭირო კომპეტენციას პროგრამის ხელმძღვანელობისათვის და აქტიურად მონაწილეობენ მის დიზაინში, განვითარებასა

და დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელებაში. მათ გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება აკადემიურ სფეროში და უშუალოდ არიან ჩართულნი პროგრამის განხორციელებასა და სტუდენტთა კონსულტირებაში.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია სათანადოდაა დოკუმენტირებული, რაც მოიცავს დიპლომებს, სერთიფიკატებს, ნაშრომებს, პუბლიკაციებსა და პრაქტიკულ გამოცდილებას. დასაქმების პროცესი ემყარება გეომედის პერსონალის შერჩევის წესებს, რაც უზრუნველყოფს, თითოეული როლის შესაბამისობას კონკრეტული სამუშაოს აღწერასთან. უნივერსიტეტის ზოგიერთი თანამშრომელი სხვა უნივერსიტეტებშიც მუშაობს, თუმცა ოჯახზე ორიენტირებული მიდგომა ერთ-ერთი მთავარი უპირატესობაა, რომელიც მათ ხანგრძლივი დასაქმებისაკენ იზიდავს.

პროგრამა უზრუნველყოფს, სტუდენტებს ემსახურებოდნენ საკმარისი რაოდენობის კომპეტენტური ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, რომლებიც მზად არიან კვალიფიციური დახმარება გასწიონ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში. პროგრამა ასევე ხელს უწყობს სტუდენტზე ორიენტირებული, მეგობრული და მხარდამჭერი გარემოს ჩამოყალიბებას. ამის დამადასტურებელი მტკიცებულება წარმოადგინეს როგორც სტუდენტებმა, ასევე კურსდამთავრებულებმა გასაუბრების დროს.

გასაუბრების დროს სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ადმინისტრაციული პერსონალი არამხოლოდ მხარდამჭერია, არამედ ასევე აქტიურად ეხმარება საჩივრებისა და პრობლემების მოგვარებაში. სტუდენტთა გამოხმაურების საფუძველზე რამდენიმე დადებითი ცვლილება განხორციელდა მათი გამოცდილების გასაუმჯობესებლად. გარდა ამისა, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, საჭიროების შემთხვევაში შეხვდნენ რექტორს, რაც უზრუნველყოფს მათი ხმების ყოველთვის გაგებას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა)

პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები მოქმედებენ უსდ-ს რეგულაციებისა და შიდა პოლიტიკის შესაბამისად, და მათი კვალიფიკაცია შეესაბამება დაწესებულ სტანდარტებსა და პასუხისმგებლობებს.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რაოდენობა, სამუშაო დატვირთვის განაწილება და გადინება უზრუნველყოფს, რომ საგანმანათლებლო პროცესი მდგრადად განხორციელდეს, და ამავდროულად მათ საშუალება მისცეს, ეფექტურად შეასრულონ კვლევითი, შემოქმედებითი, საშემსრულებლო და დამატებითი პასუხისმგებლობები.

პერსონალის რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შესაბამის საფეხურზე შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და კომპეტენცია. ხელმძღვანელი აქტიურად მონაწილეობს პროგრამის შეფასებასა და განვითარებაში, მის განხორციელებაში, სტუდენტთა მხარდაჭერასა და პროგრამის ფარგლებში ორგანიზებულ სხვადასხვა აქტივობებში. პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტები საკმარის დახმარებას იღებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისაგან.

პროგრამა 1 (ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა)

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი ⁸	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი ⁹	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	20		11	11
- პროფესორი	5		5	5
- ასოცირებული პროფესორი	6		6	6
- ასისტენტ- პროფესორი				
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	9		5	—
სამეცნიერო პერსონალი				—

მტკიცებულებები/ინდიკატორები

⁸ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

⁹ საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

- თვითშეფასების ანგარიში
- ვიზიტი
- გასაუბრება პერსონალთან
- საათობრივი დატვირთვის გეგმა
- ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის რეგულაცია
- სტუდენტისა და პერსონალის კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია

